მუშათა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 1952 წ. № 30 (9190). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ავამაღლოთ ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელი და ორგანიზატორული როლი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

1952 წლის სამშენებლო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).

სახელოვანი თარიღების შესახვედრად (1-ლი გვერდი).

მ. ციხისთავი — პარტიული აქტივი რაიკომის მტკიცე დასაყრდენია (მე-2 გვერდი).

მთავრდება თბილისის წყალსადენის ძველის მზადება ბულაჩაურის წყლის მისაღებად (მე-2 გვერდი).

ი. კახიანი — მზრუნველობით ვზარდოთ მექანიზატორთა კადრები (მე-2 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ერთი თარგმანის შესახებ (მე-3 გვერდი).

ტრაქტორების რემონტი ჭიანურდება (მე-3 გვერდი).

მ. აფონინი — საბრთაბჭირისა მოგზილვა (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელი და ორგანიზაციული როლი

წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც არჩეულ იქნენ მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის ადგილობრივი საბჭოები. ამ ხნის მანძილზე ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, აამაღლეს თავიანთი ორგანიზატორული როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, მასებთან საბჭოთა ორგანოების კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამომრჩევლებმა საბჭოებში თავიანთ წარგზავნილებს მისცეს განაწესი: ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ებრძოლათ დიად სტალინურ დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის, სოფლების კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის აღმავლობისათვის, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

არჩევნებიდან განვლილი დროის მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად. მათი საქმიანობის წინა პლანზე წამოწეული იყო ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, საბჭოთა კანონმდებლობის განხორციელება, ბრძოლა სოციალისტური საკუთრების შემდგომი განმტკიცებისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ამაღლებისათვის. ამასთან დაკავშირებით ამაღლდა საბჭოთა ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ადგილობრივმა საბჭოებმა უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გაუმჯობესეს აქტივთან მუშაობა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში ფართოდ ჩააბეს აქტივი და დეპუტატები. საბჭოებმა მთელი თავიანთი საქმიანობა დაამყარეს მტკიცე გეგმიანობაზე, რამაც ხელი შეუწყო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის არსებითად გარდაქმნას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ სამტრედიისა და წულუკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს. აღნიშნული რაიონული საბჭოების აღმასკომების სამუშაო გეგმები კონკრეტულია, მათში ძირითადად შეტანილია ის ღონისძიებანი, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ამ რაიონების სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის. ამ გეგმებში აღნიშნულია აგრეთვე შესრულების ვადები და ის პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც დავალებული აქვთ საკითხების მომზადება და დასახულ ღონისძიებათა განხორციელება. გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას ხელს უწყობს შესრულების შემოწმებაზე დაწესებული მტკიცე კონტროლი.

ადგილობრივი საბჭოების ბევრმა ხელმძღვანელმა მუშაკმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების საქმეს. რესპუბლიკის რაიონებში გაჩნდნენ ინიციატორები, რომლებმაც წამოიწყეს სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრება. ამ მხრივ მაგალითს წარმოადგენს წულუკიძის რაიონის კონტუათის სასოფლო საბჭო, რომლის თანასწორობითაც შარშან რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. კონტუათელებმა მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერება და სხვ. უდავოა, რომ შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი რაიონის სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გარდაქმნას, დეპუტატებისა და აქტივის ფართოდ ჩაბმას საბჭოების საქმიანობაში, აამაღლა საბჭოების ორგანიზატორული როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

მაგრამ რესპუბლიკის ყველა რაიონში როდი აქცევენ ყურადღებას სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების აშკარა შეუფასებლობას იჩენენ ასპინძის, ადიგენის, სიღნაღის, ახმეტის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ონის, ზემო სვანეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ამიტომ არის, რომ აღნიშნული რაიონების სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ, ყურადღებას არ აქცევენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების მომზადებულად ჩატარებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას და სხვ. აღსანიშნავია, რომ რაისაბჭოების აღმასკომებიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ სასოფლო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისადმი. სასოფლო საბჭოებისადმი მათი დახმარება და ხელმძღვანელობა გამოიხატება მხოლოდ ცნობების მოთხოვნით მიმდინარე კამპანიების მსვლელობაზე.

ცნობილია, თუ როგორ უწყობს ხელს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის აღმავლობას დეპუტატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამ შეხვედრებზე მოწმდება არა მარტო ის, თუ რა გააკეთა დეპუტატმა ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად, არამედ საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობაც. მაგრამ სასოფლო საბჭოები იშვიათად აწყობენ ასეთ შეხვედრებს. ეს კი საბჭოების სერიოზული ნაკლია. ეს საქმე შედარებით უკეთ არის დაყენებული რაიონულ საბჭოებში. გასული წლის დეკემბერში ბევრმა რაიონულმა საბჭომ მოაწყო დეპუტატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამ შეხვედრებზე ამომრჩევლები თავიანთ დეპუტატებს და აღმასკომებს უსაყვედურებდნენ მათი საჭირბოროტო საკითხებისადმი უყურადღებობას, კეთილმოწყობის სამუშაოებისადმი სუსტ ხელმძღვანელობას, ვაჭრობისა და მთელი რიგი სხვა საკითხებით დაუინტერესებლობას. ბევრმა დეპუტატმა და აღმასკომმა ამომრჩეველთა ასეთი კრიტიკული შენიშვნებიდან საჭირო დასკვნები გააკეთა და სათანადო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ნაკლოვანებანიც გამოასწორა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, წულუკიძის, სამტრედიის და ვანის რაისაბჭოების აღმასკომები. ეს კარგი და მისაბაძი მაგალითია.

მაგრამ ყველგან და ყოველთვის ჯერ კიდევ არ იცავენ სესიების მოწვევისა და ჩატარების კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებს, ყოველმხრივ არ ამზადებენ სესიებზე განსახილველ საკითხებს, მიღებული გადაწყვეტილებანი ზოგადი და არაკონკრეტულია. სასოფლო საბჭოს სესიათა სხდომებზე იშვიათად, ან სრულებით არ იხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვა, შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, სკოლების, კოოპერაციის მუშაობა, სოფლების კეთილმოწყობა და სხვ.

ცოტა როდია ფაქტები, როდესაც აღმასკომის ხელმძღვანელები სესიაზე ისეთ პირობებს ქმნიან, რომ შეუძლებელია ნაკლოვანებათა გაბედული და მკვეთრი კრიტიკა, დეპუტატთა მაღალი აქტივობა საკითხების განხილვის დროს. ასეთი მდგომარეობა მეტწილად იმით არის გამოწვეული, რომ სესიის მოსამზადებელ მუშაობაში არ აბამენ დეპუტატებს. ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია დეპუტატი აღმასკომის მუშაობის ბოლშევიკური კრიტიკით გამოვიდეს. უთვითკრიტიკოდ კი, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, წინ ვერ წავალთ; თვითკრიტიკა ჯვესაჭიროება როგორც ჰაერი, როგორც წყალი. ბოლშევიზმის ძალა სწორედ ის არის, რომ მას არ ეშინია კრიტიკისა და თავის ნაკლოვანებათა კრიტიკაში პოულობს ენერგიას შემდგომი წინსვლისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გადაუდებელი ამოცანაა მიაღწიონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსწორებას, და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებით აამაღლონ თავიანთი, როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ხელმძღვანელი და ორგანიზატორული როლი.

1952 წლის სამშენებლო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის

ტრესტ „თბილისმშენის“ მშენებელთა პასუხი ქალაქ გორის მშენებელთა წერილზე

ძვირფასო ამხანაგებო!

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტ „თბილისმშენის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა განიხილა გორის მშენებელთა წერილი თბილისისა და ბათუმის მშენებლებისადმი. შეგნებული აქვს რა თქვენი წერილის მნიშვნელობა, ჩვენი კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით ეხმაურება თქვენს მოწოდებას — მოეწყოს მუშაობის გამოცდილების ფართო გაზიარება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შემდგომი ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის.

თბილისის მშენებლებმა სტალინური ხუთწლეულების მანძილზე მდიდარი გამოცდილება შეიძინეს საქალაქო მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობის, საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციის დარგში. საქართველოს სხვა ქალაქების მშენებელთათვის ამ გამოცდილების გადაცემა, მშენებლებს შორის გამოცდილების ფართოდ გაზიარება დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საქმეა.

გორის მშენებლებისადმი თბილისის, ბათუმის და საქართველოს სხვა ქალაქების მშენებელთა დახმარება სერიოზული წვლილი იქნება ისტორიული დიდების ქალაქ, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით გარემოსილ ქალაქ გორის დიდ სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით განხორციელების საქმეში.

პარტიისა და მთავრობის უდიდესი დახმარების მეოხებით წლითიწლობით იზრდება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისის მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა მასშტაბი.

გასულ, 1951 წელს ტრესტის მშენებლებმა საცხოვრებლად გადასცეს მთელი რიგი მრავალსართულიანი სახლები, დაამთავრეს მტკვრის სანაპიროს 1.114 მეტრი სიგრძის ნაპირგასამაგრებელი კედლის აგება ელბაქიძის სახელობის ხიდიდან ჩელუსკინელთა სახელობის ხიდამდე, დაამთავრეს ქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილი ბაზრის—კიროვის სახელობის რაიონის დახურული ბაზრის მშენებლობის 1-ლი რიგი, საექსპლოატაციოდ გადასცეს ორიარუსიანი გარაჟი, დაამთავრეს ვაკის დიდი პარკის არქიტექტურულად გაფორმებული გალავნისა და მთავარი შესასვლელის მოწყობის სამუშაოები.

გასულ წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა აგრეთვე მაღალმთიანი წყალსადენი ქალაქის მახლობლად მდებარე კურორტების სასმელი წყლით მოსამარაგებლად და ახალი საზაფხულო კინოთეატრი 26 კომისრის რაიონში. შესრულებულია დიდი სამუშაოები ქალაქის ღვარსაშვები და საკანალიზაციო მეურნეობის შემდგომი გაფართოების დარგში. მოკლე ვადაში, 6 თვესა და 17 დღეში, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მეტეხის ახალი ხიდი მდინარე მტკვარზე.

ჩვენი კოლექტივი ამაყობს თავისი მოწინავეებით, წარმოების ნოვატორებით, რომელთა შორისაც არიან გიორგი გოჩაშვილი, პეტრე ბადალაშვილი, მიხეილ აფციაური, ბაგრატ ქვლივიძე, ალგერ ტახჩიდი, სერგი კოლიადა, ვასილ მიგრიაული, მიხეილ მოსინი, გიორგი ოგანოვი, გიორგი სირაძე, აკაკი უგულავა, გიორგი ანდღულაძე და ბევრი სხვა.

გასულ წელს გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციის დარგში. ტრესტმა მოაწყო რბილი მოსაპირკეთებელი ქვის მექანიკურად დასამუშავებელი სპეციალური საამქრო, რამაც შესაძლებელი გახადა თითქმის მთლიანად აგვეღო ხელი ამ მასალის ხელით დამუშავებაზე. ტრესტს აქვს თანამედროვე სამშენებლო მექანიზმების პარკი (ექსკავატორები, კომკრა ამწეები, ამწეები, ბულდოზერები, არხსათხრელები და სხვ.), რითაც მან გაუმჯობესა შრომატევად სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია. მაგალითად, მიწის სამუშაოთა წარმოება მექანიზებულია 96,7 პროცენტით, ბეტონის დამზადება — 96,3 პროცენტით, ინერტული მასალების მოპოვება — 100, სადურგლო ნაწარმის დამზადება —100, სამღებრო სამუშაოები — 60,5 პროცენტით და სხვ.

★

ტრესტ „თბილისმშენის“ სამშენებლო კანტორებისა და დამხმარე საწარმოების კოლექტივებმა განიხილეს გორის მშენებელთა წერილი თბილისისა და ბათუმის მშენებლებისადმი. მათ მხარი დაუჭირეს გორელთა წინადადებას მუშაობის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების გაჩაღების, 1952 წელს მშენებლობის ტემპის გაძლიერებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

ამ დღეებში შეიკრიბნენ ტრესტ „თბილისმშენის“ სამშენებლო კანტორების კოლექტივების წარმომადგენლები, რათა განიხილონ და დაემტკიცებინათ 1952 წლის მშენებლობის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

„თბილისმშენის“ მშენებლებმა მიიღეს ხალასუხო წერილი გორის მშენებლებისადმი.

★

ბულდოზერები, ამწეები, ბულდოზერები, არხსათხრელები და სხვ.), რითაც მან გაუმჯობესა შრომატევად სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია. მაგალითად, მიწის სამუშაოთა წარმოება მექანიზებულია 96,7 პროცენტით, ბეტონის დამზადება — 96,3 პროცენტით, ინერტული მასალების მოპოვება — 100, სადურგლო ნაწარმის დამზადება —100, სამღებრო სამუშაოები — 60,5 პროცენტით და სხვ.

მაგრამ ტრესტს მუშაობაში ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. სუსტად წარმოებს მშენებლობის ღირებულების შემცირება, აღმოფხვრილი არ არის მუშაობის წარმოების კუსტარული მეთოდები, სუსტად წარმოებს ბრძოლა სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის და საშენი მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ მექანიზმებს, რაც აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გავრცელებული წარმოების ნოვატორთა გამოცდილება.

შეგნებული აქვს რა თავისი მუშაობის ნაკლოვანებანი, ტრესტის კოლექტივი ცდილობს რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ისინი. ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ჩვენ გამოვააშკარავებთ ყველა ნაკლს, მოწინავეთა დონემდე ავიყვანთ ჩამორჩენილ უბნებს, განვამტკიცებთ საფინანსო დისციპლინას, მივაღწევთ მშენებლობის მატერიალური და ფულადი სახსრების დაზოგვას.

მოგვაჩნია რა, რომ გაძლიერებული მშენებლობის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად, ჩვენ — ტრესტის სამშენებლო კანტორებისა და დამხმარე საწარმოების მუშები, ბრიგადირები, ოსტატები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები — ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. 20 დეკემბრისათვის მთლიანად შევასრულოთ ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა.

2. სტალინური კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის მთლიანად დავამთავროთ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა.

3. საფინანსო დისციპლინის გაძლიერების, სახსრების ხარჯვისადმი კონტროლის გაუმჯობესებისა და მშენებლობათა რენტაბელობის ამაღლების მიზნით მშენებლობის ყველა ობიექტზე განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში.

4. მთლიანად ტრესტში ნორმებთან შედარებით 5 პროცენტით შევამცეროთ ცემენტის ხარჯვა, ფართოდ გამოვიყენოთ მისი შემცვლელები.

5. გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით გავადიდოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე მუშების გამომუშავება.

ტრესტის 1952 წლის სამუშაოთა საერთო მოცულობიდან ვადამდე გადავცეთ საექსპლოატაციოდ:

1-ლი სამშენებლო კანტორის ხაზით: ახალ სანაპიროზე საცხოვრებელი სახლის პირველი კორპუსი, 1.490 კვადრატული მეტრი ფართობით — მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის;

მე-2 სამშენებლო კანტორის ხაზით: საშუალო სკოლის შენობა და საბავშვო ბაღის შენობა ფილაშვილის ქუჩაზე — 1 აგვისტოსათვის; 1 მაისისათვის დავამთავროთ ვაკეში სასპორტო საზოგადოება „მეცნიერების“ სტადიონის მშენებლობის სამუშაოთა პირველი რიგი.

მე-3 სამშენებლო კანტორის ხაზით: ტრესტის მუშათა საერთო საცხოვრებლის ოთხსართულიანი შენობა ბრძოლის ქუჩაზე, 1.000 კვადრატული მეტრი ფართობით—1 ივლისისათვის;

მე-4 სამშენებლო კანტორის ხაზით: ყოფილ სასტუმრო „პალასის“ მუზეუმად გადასაკეთებელი შენობა — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავისათვის — 25 თებერვლისათვის; საშუალო სკოლის შენობა ინდუსტრიალიზაციის ქუჩაზე — 1 აგვისტოსათვის;

მე-5 სამშენებლო კანტორის ხაზით: ელბაქიძის სახელობის ახალი რკინაბეტონის თაღოვანი ხიდი მდინარე მტკვარზე — 1 ივლისისათვის; ახალი სანაპიროს ნაპირის გასამაგრებელი კედელი ჩელუსკინელების სახელობის ხიდიდან ტელმანის ქუჩამდე, 180 მეტრი სიგრძისა — 1 ივლისისათვის; საცხოვრებელი სახლი ჩელუსკინელების ქუჩაზე, 1.185 კვადრატული მეტრი ფართობით — 1 სექტემბრისათვის;

მე-6 სამშენებლო კანტორის ხაზით: ღვარსაშვები დიდუბის ხევში — 1 მაისისათვის; კანალიზაციის კოლექტორები საბურთალოს რაიონში — 1 აპრილისათვის;

ტრესტის საწარმოო და დამხმარე საწარმოების ხაზითაც აღებულ იქნა კონკრეტული ვალდებულებანი.

ძვირფასო ამხანაგებო! ვიკისრეთ რა კონკრეტული ვალდებულებანი 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, ჩვენ მოვუწოდებთ ქალაქ გორის მშენებლებს განიხილონ თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრონ ახალი ვალდებულებანი. **1952 წლის სამშენებლო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ აგრეთვე ქალაქ ქუთაისის მშენებლებს, ტრესტ „საქმშენის“, ტრესტ „საქკვებმშენის“ კოლექტივებს, „საქშახტმშენის“ თბილისის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს.**

გორის მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის სხვა ქალაქების მშენებლებთან უზრუნველყოფს ისტორიული დიდების ქალაქის, ჩვენი დიდი მასწავლებლისა და ბელადის ამხანაგ სტალინის სამშობლოს — ქალაქ გორის მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ფართოდ გავაჩაღოთ საქართველოს ქალაქების მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება!

ვადამდე შევასრულოთ 1952 წლის სამშენებლო გეგმები!

ქალაქების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მამობრივ ზრუნვას ვუპასუხოთ ახალი შრომითი წარმატებებით ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად!

(მიღებულია ტრესტ „თბილისმშენის“ მშენებელთა კრებაზე 1952 წლის 28 იანვარს).

ახალი ზღვა

დონის როსტოვი. (საკუთ.). ციმლიანსკაის ზღვაში წყალი მატულობს. წყალი მიუახლოვდა დაბლობის იმ ადგილებს, სადაც წინათ სტანიცები და ხუტორები იყო. ციმლიანსკაის სტანიცის რაიონში წყლის დონემ მდინარეში ორი კვირის მანძილზე 365 სანტიმეტრით აიწია, ხოლო უფრო ქვემოთ, კაშპალის ახლოს — 374 სანტიმეტრით.

ახალი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ხელოვნური წყალსატევი იქნება. მისი სრული მოცულობა საპროექტო დონემდე ავსებისას 24 მილიარდი კუბური მეტრი იქნება.

ახალ ადგილებში მცხოვრებთა გადასახლება და შენობათა გადატანა განხორციელებულია წარმატებით და მთლიანად. ახლად შექმნილი დასახლებული პუნქტები კეთილმოწყობილი და ელექტროფიცირებულია.

ციმლიანსკაის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ყოველდღე მოდის ასობით შოფერი ავტომანქანებით მოსკოვიდან, ხარკოვიდან, ოდესიდან, კრასნოდარიდან, როსტოვიდან და სხვა ქალაქებიდან. სახელმწიფო გზავნის მათ, რათა უმოკლეს ვადაში გამოზიდონ წყლით ასავსები ადგილებიდან ხე-ტყე და მთლიანად გაწმინდონ წყალსაცავის კალაპოტი.

ვოლგა-დონის მშენებელთა გამარჯვება

დონის კალაჩი. (საკუთ.). პირველ თებერვალს კარპოვკის სატუმბავმა სადგურმა დაიწყო დონის წყლის გადატუმბვა კარპოვკის წყალსაცავში.

31 იანვარს საღამოს სადგურის მშენებლობაზე ყველა მოსამზადებელი სამუშაო დამთავრებული იყო. დონის სამშენებლო რაიონის მთავარმა ინჟინერმა ვ. ი. სევასტიანოვმა გასცა ბრძანება დაენგრიათ მიმყვანი არხის გადამღობი მიწის ზღუდარები. მეექსკავატორე პავლე პაწოვმა ღამის განმავლობაში სადგურის მახლობლად ზღუდარიდან ამოიღო უკანასკნელი ათას ხუთასი კუბური მეტრი გრუნტი. დონის მხრიდან მიწისმწოვი მანქანით გაკეთებული მეორე ზღუდარი დილით ააფეთქეს. წყალი გადაეშვა არხში და რამდენიმე წუთში მიაღწია სატუმბავ სადგურს.

ნაშუადღევს წყლის დონემ ციცხვში სადგურის მახლობლად საპროექტო ნიშანს მიაღწია. მყვინთავებმა დაათვალიერეს ნაგებობის წყალქვეშა ნაწილები. ყველაფერი წესრიგზე იყო. ამავე დროს მშენებლებმა ჩვეულებრივი ტუმბოთი ერთ მეტრზე ამოავსეს წყლით ციცხვი სადგურის მეორე მხარეს. ეს „წყლის ბალიში“ შექმნილია იმისათვის, რომ შეანელოს სადგურის მძლავრი პროპელერიანი ტუმბოთი შექმნილი წყლის ნაკადის დაცემის ძალა.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ბატუნერმა გასცა ბრძანება ჩაერთოთ ტუმბო და დაეწყოთ წყლის გადატუმბვა. მყისვე სადგურის ერთ-ერთი მალალი კოშკის ოთხი ხვრიტილიდან გადმოეშვა მძლავრი ჩანჩქერები. ტუმბო ყოველ წამში ტუმბავს თხუთმეტ კუბურ მეტრ წყალს. იგი სწრაფად ავსებს ციცხვს.

დატვირთვით მუშაობის შემდეგ ტუმბო შეჩერებულ იქნა რეგულირებისათვის.

სახელოვანი თარიღების შესახვედრად

ქვანახშირი თვიური გეგმის გადამეჯებით

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგანან და დღითიდღე აძრავლებენ წარმატებებს. ახალი წლის პირველი თვე ტყიბულქვანახშირის ტრესტმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა და თებერვლის გეგმის ანგარიშში რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღო.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით მუშაობენ გელათელი მეშახტეები, რომლებმაც განმტკიცეს შარშან მოპოვებული წარმატებები და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა. თვალსაჩინოდ გადაამეტა იანვრის დავალებას ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა. არა მარტო ლენინის შახტში, არამედ მთელ ტრესტში პირველ ადგილზეა ის უბანი, რომელსაც შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივმა იანვრის დავალების გადამეტებით შვიდი ეშელონი ქვანახშირი ამოიღო.

მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს სტალინის და მოლოტოვის სახელობის შახტების კოლექტივებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს იანვრის საგეგმო დავალების დიდი გადაჭარბებით განაღდება.

ორი თვის გეგმა— 20 თებერვლისათვის

ფოთი. („კომუნისტის“ კორ.). სამრეწველო კომბინატის საწარმოებმა იანვარში 489 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, თვიური გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს და გასული წლის იანვართან შედარებით 15 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად კომბინატის კოლექტივმა იკისრა ორი თვის გეგმა შეასრულოს 20 თებერვლისათვის.

საგეგმო დავალებით შარშანდელთან შედარებით წელს კომბინატის საწარმოებმა 800 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვან. ამ დავალების გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ფართოვდება სამკერვალო და სარემონტო სახელოსნოები, აგრეთვე საკონდიტრო ფაბრიკა.

ზრდიან დაზგების წარმადობას

ჟუთაისი. (საკ. კორ.). მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა გასულ წელს დაზგების წარმადობა გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6,6 პროცენტით გაადიდა.

დაზგების წარმადობის ამაღლებას დიდ ყურადღებას უთმობენ საქსოვ საამქროში. ოსტატის თანაშემწეები გ. თაბუაშვილი, ვ. ცაგარელიშვილი, ო. ავალიანი და სხვები მოცდენის შემცირებით დაზგების წარმადობის მნიშვნელოვან გადიდებას აღწევენ. დაზგების სრული დატვირთვით გამოყენების გზით შარშან საქსოვმა საამქრომ საწარმოო დავალება ვადამდე შეასრულა და გეგმის გადამეტებით 66.800 მეტრი ხამი ქსოვილი გამოუშვა. საამქროში დაზგების მოცდენა 0,9 პროცენტით შემცირდა.

მოწყობილობის სრული დატვირთვით გამოყენებისა და მისი წარმადობის გადიდების საქმეში კარგი მაჩვენებლები მოიპოვა სართავმა საამქრომ. ყველა სართავ მანქანაზე გადაჭარბებით სრულდება გამომუშავების ნორმები და მათი გამოსავლიანობის კოეფიციენტი 5-10 პროცენტით აღემატება ნორმას.

ახალციხის შახტმშენებელთა წარმატება

ახალციხე. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ახალციხის შახტების მშენებლობის მეორე სამმართველოს კოლექტივი. მთავრდება საშუალო სკოლის ახალი შენობის აგება. სკოლაში იმეცადინებს მეშახტეთა 320 ბავშვი. წელს სამმართველომ საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი აბანო. მეორე შახტში დამთავრდა აგება საბავშვო ბაღის შენობისა 50 ბავშვისათვის.

პირველი სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა ააგო და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადასცა სამთო-სამრეწველო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა. სკოლის შენობა 60 ოთახისაგან შედგება. გარდა საკლასო ოთახებისა, აქ მოწყობილია კლუბი, ბიბლიოთეკა, წითელი კუთხე, სასადილო, აბანო, სამრეცხაო და საპარიკმახერო.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთერთმეტე ტომი ფინურ ენაზე

პეტროზავოდსკი. (საკუთ.). კარელია-ფინეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ფინურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთერთმეტე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის კარელია-ფინეთის ფილიალმა.

ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მოეწყო კედლის გაზეთების რედაქტორების, კორესპონდენტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი. მოხსენება — ძირეული პრესის ამოცანები სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში — გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. კოკნაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კედლის გაზეთის რედაქტორმა გ. რობაქიძემ, შორაპნის რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანმა გრ. კვინიკაძემ, რაიისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგემ ვ. გუგუშვილმა, შამპანკომბინატის ზესტაფონის ღვინის ქარხნის კედლის გაზეთის რედაქტორმა დ. ბარბაქაძემ, კორესპონდენტებმა: ივ. მარაქველიძემ და ს. ამყოლაძემ, ბერიას სახელობის არგვეთის მუვენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა მ. კოვზირიძემ, რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქტორმა ლ. ლოლაძემ და სხვებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა კოლმეურნეობებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და თვალისამხვევი მოქმედებისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის პირველი მდივანი მ. სიორდია მოხსნა სამუშაოდან და გარიცხა რაიკომის შემადგენლობიდან.

რაიკომის შემადგენლობიდან გარიცხულ იქნა აგრეთვე ხობის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე კ. ჩოკორაია.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. კ. შარტავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნარსიამ.

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პლენუმი

საჩხერე. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ბერაძე ავადმყოფობის გამო პლენუმმა გაათავისუფლა პირველი მდივნის მოვალეობისგან და გამოიყვანა რაიკომის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ნ. კობახიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. კოკაია.



ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე. სიფონური წყალსადენის ურღულთან. **სურათზე:** ზეინკალი ვლადიმერ გელაშვილი აწესრიგებს ურდულით მილსადენში წყლის გაშვებას.

ფოტო რ. აკოფოვისა

მთავრდება თბილისის წყალსადენის ქსელის მზადება ბულაჩაურის წყლის მისაღებად

მთავრდება ბულაჩაურის წყალსადენის პირველი რიგის მშენებლობა. მოკლე ხანში თბილისის მარცხენა მხარის მიმართულებით გამოშვებულ იქნება ბულაჩაურის წყალი.

პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებასთან ერთად ბულაჩაურმშენის კოლექტივი ახლავე იწყებს მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოთა შესრულებას, რაც უზრუნველყოფს ქალაქში ბულაჩაურის წყლის მეორე (მარჯვენა მხარის) მაგისტრალური მილსადენით შეყვანას.

არის თუ არა მზად თბილისის წყალსადენის ქსელი ბულაჩაურმშენის პირველი რიგის სამუშაოთა დამთავრებასთან დაკავშირებით თბილისისაკენ გამოსაშვები წყლის მისაღებად და რამდენად შეამსუბუქებს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას ბულაჩაურის წყალი?

თბილისის წყალსადენის ტრესტში ამ კითხვაზე ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განმარტებები მისცეს:

—წელს თბილისის მოსახლეობა ბულაჩაურიდან დაახლოებით ერთი მესამედით იმაზე მეტ სასმელ წყალს მიიღებს, ვიდრე იღებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ წელს საშუალება გვექნება უბნებს შორის წყლის მიწოდების მანევრირება მოვახდინოთ უმთავრესად ღამის საათებში, როცა წყლის ხარჯი შედარებით ნაკლებია. ამის შედეგად დღის საათებში წყალი ყველა უბანში გვექნება.

ბულაჩაურის წყლის მისაღებად მზადება წყალსადენის მუშაკებმა მრავალი წლის წინათ დაიწყეს. საჭირო გახდა წყალსადენის ქსელის გაფართოება, ქალაქის მთელი რიგი სამაგისტრალე მილების შეცვლა უფრო დიდი კვეთის მილებით და, რაც მთავარია, ახალი მაგისტრალების გაყვანა იმისათვის, რომ ქალაქის მარცხენა მხარეზე მოსული ბულაჩაურის წყლის სათანადო ნაწილი გადაყვანილ იქნას ქალაქის მარჯვენა მხარის ქსელში. ეს სამუშაოები ამჟამად შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. დარჩენილია მხოლოდ შემაერთებელ მაგისტრალებზე აქა-იქ ჩასაკეტებისა და სხვა ფასონური ნაწილების გამართვა, რაც იოლი საქმეა.

ქალაქის წყალსადენის ტრესტის მუშაკებმა ბულაჩაურის წყლის მიღებისათვის მზადების პერიოდში მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულეს — მოაწყეს ქუჩების ორმხრივი მომარაგება. აქამდე ზოგ ქუჩაზე წყალსადენის მაგისტრალს წყალი ერთი მიმართულებით მიჰქონდა. ამ მიმართულებით პირველ ეზოებში წყალი იყო, მაგრამ ქუჩის ბოლო სახლებამდე (განსაკუთრებით ზაფხულის დღეებში) ვეღარ აღწევდა, ვინაიდან გზადაგზა წყლის ხარჯი დიდი იყო. ამიერიდან მრავალ ასეთ ქუჩაზე ორმხრივი მიწოდების შედეგად წყალი ყველა სახლში ექნებათ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბულაჩაურის წყლის მიღებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გაუმჯობესდება სასმელი წყლით ვაკის მოსახლეობის მომარაგება. საამისოდ დაწყებულია და უახლოეს რამდენიმე დღეში დამთავრდება საბურთალო-ვაკის მაგისტრალის გაყვანა.

წყალსადენის ტრესტი სავსებით უზრუნველყოფილია მილებით, არმატურით, ფასონური ნაწილებით, იმ მასალებით, რაც საჭიროა ბულაჩაურის წყლის მისაღებად ქსელის გამზადებისათვის. წყალსადენის ქსელის მუშაკთა კოლექტივის გადაწყვეტილებაა ყველა სამუშაო ვადამდე შეასრულოს და საქმე ისე წარმართოს, რომ ქალაქის ქსელში დანიშნულ დრომდე გაუშვას ბულაჩაურის წყალი.

მზრუნველობით ვზარდოთ მექანიზატორთა კადრები

ჩვენი სოფლის მეურნეობა აღჭურვილია მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. საკოლმეურნეო წყობილება წარმოადგენს ფართო ასპარეზს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვისათვის. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წარმოადგენენ წამყვან ძალას სოფლის მეურნეობის განვითარებაში. უახლესი პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით სოფლის მეურნეობის აღჭურვამ მნიშვნელოვანწილად შეუმსუბუქა კოლმეურნე გლეხს შრომა და თვალსაჩინოდ აამაღლა სოფლად შრომის ნაყოფიერება.

სოფლის მეურნეობის წარმოების მაღალი მექანიზაციის დონე მოითხოვს მექანიზატორთა კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც სრულყოფილად დაუფლებული უნდა იყვნენ ახალ ტექნიკას. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმები, სკოლები და მტს-ებთან მოწყობილი კურსები მოწოდებული არიან სერიოზული ყურადღება მიაქციონ მექანიზატორთა კადრების ოსტატთა მომზადებას, მტს-ების უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავ მზრუნველობას იჩენენ მექანიზატორთა კადრების მომზადებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების და მოწინავე სტახანოვური გამოცდილებით გამდიდრებისათვის. ამ მიზნით მოწყობილია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმებისა და სკოლების ფართო ქსელი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმები და სკოლები აღჭურვილი არიან საჭირო სასწავლო ტრაქტორებით, კომბაინებით, ახალი მარკის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით და სახელოსნოებით რემონტის საქმის შესასწავლად. ტექნიკუმები და სკოლები დაკომპლექტებული არიან კვალიფიციური პედაგოგებით და გამოცდილი ინსტრუქტორებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობითი საქმის მაღალ დონეზე დაყენებას, მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლების სრულყოფას და მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებისა და მეთოდების შესწავლას. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სტიპენდიებით და ერიცხებათ შრომადღეები იმ კოლმეურნეობებში, საიდანაც მიელინებული არიან.

მექანიზატორთა სკოლები და ტექნიკუმები ყოველწლიურად მზარდი რაოდენობით ამზადებენ და უშვებენ კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრებს: ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს, ტექნიკოს-მექანიკოსებს, ელექტროტექნიკოსებს, მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში მომუშავეებს, რომლებიც მოწოდებული არიან გადაჭრან სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკის მაღალნაყოფიერად და შეუფერხებლად გამოყენება.

გარდა ამისა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან ყოველწლიურად ეწყობა მოკლევადიანი კურსები ტრაქტორისტების, კომბაინერთა თანაშემეწეებისა, სალეწი მანქანების მემანქანეებისა და სხვათა მოსამზადებლად.

1950-1951 სასწავლო წელს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმებში, სკოლებში და მტს-ებთან მოწყობილ კურსებზე მომზადებულმა და გადამზადებულმა სოფლის მეურნეობის მექანიზატორებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს 1951 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში. გასულ წელს მექანიზატორთა კადრების მომზადება კარგად წარმართეს ასურეთის, თელავის, სართიჭალის, გურჯაანის, ხაშურის და სხვა მტს-ებმა.

ამ მტს-ების ხელმძღვანელები გულისხმიერად მოეკიდნენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებში მსმენელთა მიღებისა და მტს-ებთან კურსების მოწყობის საკითხს, დროულად დაკომპლექტეს კურსები მსმენელებით, სპეციალისტ მასწავლებელთა კადრებით და შექმნეს ყოველგვარი პირობები კადრების მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის.

მაგრამ ყველა მტს-ის დირექტორი ასეთ მზრუნველობას როდი იჩენს მექანიზატორთა კადრების მომზადებისადმი. მაგალითად, კასპის, ახმეტის, შინდისი-სა და ქარელის მტს-ებმა გასულ წელს თავი არ შეიწუხეს კომბაინერების მოსამზადებლად და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებში არ მიავლინეს გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტი. ბოლნისის მტს-ში ტრაქტორისტების სამცირის გამო გაჩერებული იყო 6 ტრაქტორი, მაგრამ ამ მტს-ის ხელმძღვანელობამ ტრაქტორისტთა მოსამზადებელ კურსებზე სკოლაში დროზე არ მიავლინა მსმენელები, ხოლო დმანისის, ზესტაფონის და თეძამის მტს-ებმა მექანიზაციის სკოლებში მიავლინეს კურსებისათვის შეუფერებელი პირები. თეძამის მტს-მა გასულ წელს დიზელის ტრაქტორების ტრაქტორისტების გადასამზადებელ კურსებზე სურამის სკოლაში მიავლინა ისეთი ადამიანები, რომელთაც ტრაქტორებზე სრულებით არ უმუშავნიათ. წელს იგივე პირები მიავლინა კომბაინერთა მოსამზადებელ კურსებზე, მაშინ როცა ორივე შემთხვევაში უნდა მიეგზავნებინათ მხოლოდ გამოცდილი ტრაქტორისტები. სკოლამ სრულიად სამართლიანად ეს გამოუცდელი მუშაკები უკანვე დაუბრუნა.

ზოგიერთი მტს-ის დირექტორი მექანიზაციის სკოლაში მსმენელებს უსაბუთოდ გზავნის. შინდისის მტს-მა სურამის სკოლაში მიავლინა კ. ხუციშვილი, რომელსაც არავითარი საბუთი (პასპორტი, განათლების მოწმობა, სამხედრო წიგნაკი, დახასიათება და სხვ.) არ ჰქონდა. ასეთს გამო [illegible] მიიღეს. ვხედავთ [illegible] სკოლებში მსმენელთა დაგვიანებით მივლინების შემთხვევებს. მაგალითად, ახალქალაქის, ოჩამჩირის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის მტს-ებმა ტრაქტორისტების კურსებზე მექანიზაციის სკოლებში მსმენელები 10-15 დღის დაგვიანებით მიავლინეს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დიზელის ტრაქტორებზე არ დაიშვებიან ის ტრაქტორისტები, რომლებსაც დამთავრებული არა აქვთ მექანიზაციის სკოლის სათანადო კურსები. ამ ბრძანებას ზოგიერთი მტს-ის დირექტორი არღვევს, რის შედეგად ისეთი ახალი მარკის მძლავრი და ძვირფასი ტრაქტორები, როგორიც არის „დტ-54“ და „ს-80“, ტრაქტორისტთა ტექნიკური უცოდინარობის გამო ნაადრევად გამოდის წყობიდან ან დამოითხოვს რემონტს, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების შეფერხებას.

მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მექანიზაციის სკოლებში და მტს-ებთან მოწყობილ კურსებზე უნდა მომზადდეს 1.500 კაცით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ახალი მტს-ების გახსნა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის საგრძნობლად გაზრდა განსაკუთრებულ ამოცანებს უყენებს მტს-ებისა და მექანიზაციის სკოლების დირექტორებს, აგრეთვე რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებებს მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების დროზე და მაღალხარისხოვნად მომზადების საქმეში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომუშავეთა შრომის ანაზღაურება დიდად არის გაუმჯობესებული. ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონის ამაღლების საქმეში.

უახლოეს ხანში დაიწყება ახალი ნაკადის მიღება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებში და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან მოწყობილ კურსებზე. მტს-ების დირექტორებმა და რაისაბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მოსამზადებელი კონტინგენტის დროზე და სწორად შერჩევას.

მზრუნველობით ვზარდოთ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრები, ფართოდ დავნერგოთ მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილება, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მიმდინარე წლის სატრაქტორო სამუშაოთა დავალებანი, — ასეთია სოფლის მეურნეობის მუშაკთა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ი. ქაჯაია

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

ახალმშენებლობანი კოლმეურნეობებში

თბილისის გარეუბნის რაიონი. (სპეც. კორ.). სულ უფრო იზრდება სოფელ დიღმის ლენინის სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის მატერიალური ბაზა. ეს საშუალებას იძლევა განხორციელდეს ახალმშენებლობანი. კოლმეურნეობაში ააშენეს სადგომი 900 დედაცხვრისათვის, ააგეს მელორეობის ფერმა.

წელს გათვალისწინებულია ააშენონ სახერხი ქარხანა, მექანიზმების ფერმის ახალი შენობა და გარაჟი.

* * *

ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა ფარეხი 3.000 სული ცხვრისათვის და მექანიზმების ფერმის ახალი შენობა.

დაწყებულია და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის ბოსლის მშენებლობა. გათვალისწინებულია კოლმეურნეობაში მოაწყონ სახერხი ქარხანაც.

პარტიულ თემაზე

პარტიული აქტივი რაიკომის მჯიცე დასაყრდენია

პარტიული აქტივი პარტიის რაიონული კომიტეტის საიმედო და მტკიცე დასაყრდენია. უაქტივოდ შეუძლებელია პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობისადმი სწორი ხელმძღვანელობა. აქტივიდან პარტიული ორგანოები პარტიული და საბჭოთა აპარატისათვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის არჩევენ ახალ კადრებს.

პარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტი რაიონის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს ფართო პარტიული აქტივის დახმარებით, პრაქტიკული საკითხების გადაჭრის დროს გაბედულად ეყრდნობა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო აქტივს. რაიკომის წევრები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები ყოველთვის ასრულებენ რაიკომის დავალებებს. ისინი გამოდიან მშრომელთა წინაშე ლექციებით, ძოხსენებებით, განაზოგადებენ სოფლის მეურნეობისა და სოციალისტური ჰრეწველობის მოწინავეთა გამოცდილებას, ამოწმებენ რაიკომის ბიუროს მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. პარტიის რაიკომი ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას აქტივის მონაწილეობით ახორციელებს. აქტივი ფართოდ არის გამოყენებული რაიკომის ბიუროს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი წითელწყაროს რაიონს უკავია. რაიონის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახულია ამოცანა — ჯაგნარებისა და სახნავად ვარგისი საზამთრო საძოვრების ხარჯზე ხორბლის სათესი ფართობის გადიდება, მიწათმოქმედების კულტურისა და ხორბლის მოსავლიანობის ამაღლება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა პარტიულ აქტივზე დაყრდნობით ფართოდ გააჩაღა მუშაობა ამ ამოცანის განხორციელებისათვის. სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე აქტივთან — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან, მემანდვრეობის ბრიგადირებთან, აგრონომებთან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან, ხორბლის მაღალი მოსავლის ოსტატებთან სისტემატურად ეწყობა თათბირები ხორბლის წარმოებისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე.

პარტიის რაიკომი ზრუნავს სოფლის პარტიული აქტივის აგროტექნიკური მეცნიერების უახლესი მიღწევებით შეიარაღებისათვის. მარტო გასულ წელს რაიკომის ინიციატივით სამჯერ მოეწყო სამეცნიერო სესია და თათბირები, რომლებზეც სოფლის პარტიული აქტივისათვის მეცნიერმა მუშაკებმა წაიკითხეს მოხსენებები და ლექციები შემდეგ თემებზე: „გვალვიან რაიონებში შემოდგომის ხორბლის თესვისათვის ნიადაგის დამუშავება“, „შემოდგომის ხორბლის თესვის ნორმები და ვადები“, „მარცვლეული კულტურების მავნებლებთან ბრძოლის უახლესი მეთოდები“. აგრეთვე მოსმენილ იქნა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოხსენებები თავიანთი გამოცდილების შესახებ ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანის დარგში.

რაიონის კოლმეურნეობებმა პარტიული აქტივის დახმარებით და კოლმეურნეთა თავდადებული შრომით 1950 წელს აითვისეს 6.850 ჰექტარი ახალი მიწა, ხოლო 1951 წელს—11.897 ჰექტარი. წელს უნდა ავითვისოთ 10.842 ჰექტარი ახალი მიწა. ახალი მიწების ათვისების პარალელურად მნიშვნელოვნად იზრდება შემოდგომის ხორბლის, ქერისა და ესპარცეტის ნათესები. რაიონში 1950 წელს სახელმწიფო გეგმით შემოდგომის ხორბალი უნდა დაგვთესა 25.000 ჰექტარი, ფაქტიურად დაითესა 29.527 ჰექტარი, ხოლო 1951 წლის შემოდგომაზე გეგმით გათვალისწინებული 32.700 ჰექტარის ნაცვლად დაითესა შემოდგომის ხორბალი 36.739 ჰექტარი, ქერი—1.070 ჰექტარი და ესპარცეტი—917 ჰექტარი.

პარტიის რაიკომი თავის მუშაობაში ფართოდ ეყრდნობა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა აქტივს, რომელთა უნარიან მუშაობაზეც დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ძირითადი სამუშაოების წარმატებით გადაწყვეტა. რაიონის კოლმეურნეობებს ემსახურება მძლავრი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით შეიარაღებული 4 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და ერთი მეცხოველეობის სამანქანო სადგური. პარტიის რაიკომი ხშირად აწყობს მტს-ების აქტივის თათბირს, რაზმავს აქტივს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. ქედის მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა გასული წლის საწარმოო გეგმა, რბილ ხვნაზე გადაყვანით, შეასრულა გასული წლის 10 ოქტომბრისათვის, ხოლო ტრაქტორების რემონტის გეგმა—135,4 პროცენტით. მუშაობაში სანიმუშო მაგალითებს იძლევიან კომუნისტები. წითელწყაროს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი შ. მოსაშვილი ხელმძღვანელობს, სატრაქტორო სამუშაოთა 1951 წლის გეგმა, რბილ ხვნაზე გადაყვანით, 106 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 11.379 კილოგრამი საწვავ-საცხები მასალა, ხოლო კომუნისტ ალ. პედიკოვის ბრიგადამ გეგმა 119 პროცენტით შეასრულა და, გასწია 10.038 კილოგრამი საწვავ-საცხები მასალის ეკონომია.

სამაგალითოდ მუშაობენ ტრესტ „საქართველოს ნავთის“ მირზაანის სარეწის კომუნისტები. ხარატ ა. რადკოს წინადადებით შეცვლილ იქნა ნავთის საქაჩავი ღრმა ტუმბოების კონსტრუქცია, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა ნავთის ამოღება თვითეულ ჭაზე. ჭაბურღილის ოპერატორმა ვ. ალექსეევმა მინიმუმამდე შეამცირა ჭის გაცდენა. სარეწის მუშაკთა ნოვატორული, თავდადებული შრომის შედეგად 1951 წლის საწარმოო დავალება შესრულებული იქნა გადაჭარბებით, პროდუქციის თვითღირებულება 5 პროცენტით შემცირდა, მიღწეულ იქნა 900.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. სარეწის აქტივისტები იბრძვიან ახალ სამეურნეო წარმატებათა მოსაპოვებლად.

აქტივთან მუშაობის გაძლიერებამ პარტიის რაიონულ კომიტეტს შესაძლებლობა მისცა ხელმძღვანელ პოსტებზე დაეწინაურებინა უნარიანი მუშაკები. 1950-1951 წლების მანძილზე ხელმძღვანელ სამუშაოებზე დაწინაურებულ იქნა 166 ამხანაგი. ისინი წარმატებით უძღვებიან საქმეს. ხელმძღვანელი კადრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა თეორიული მომზადების დონე აიმაღლა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ რესპუბლიკურ 2-წლიან პარტიულ სკოლაში, მასთან არსებულ გადასამზადებელ კურსებზე. ამჟამად პარტიულ სკოლაში სწავლობს 3 ამხანაგი. კადრების მომზადებაში დიდ დახმარებას გვიწევს რაიკომთან შექმნილი საღამოს ორწლიანი პარტიული სკოლა, რომელიც უკვე დამთავრა 26 კაცმა. ამჟამად პარტსკოლაში 18 კაცი სწავლობს.

რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა ყოველმხრივ უმჯობესდება. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების შემადგენლობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ამხანაგებით. პარტიის რაიონული კომიტეტი განუწყვეტლივ ამაღლებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს და ეხმარება მათ პრაქტიკულად გამოწრთობაში. 1950 წელს მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სამთვიანი გადასამზადებელი კურსები, რომელშიც ჩაბმული იყო პირველადი პარტორგანიზაციის 67 მდივანი. ლექციებს კითხულობდნენ რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. გარდა ამისა, რაიკომთან არსებული საღამოს ორწლიანი პარტიული სკოლა დაამთავრა პირველადი პარტორგანიზაციის 13 მდივანმა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მოწყობილი საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები დაამთავრა 7 კაცმა.

პარტიის რაიკომმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული და სამეურნეო მუშაობის საკითხებზე 31-ჯერ მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საინსტრუქტაჟო რაიონული და ზონალური თათბირები. გასული წლის ბოლოს რაიონულ კომიტეტში გაიმართა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთდღიანი თათბირ-სემინარი, რომელზეც რაიკომის ხელმძღვანელმა მუშაკებმა წაიკითხეს მოხსენებები შინაპარტიული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე და საკოლმეურნეო-პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ.

იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმე დიდად არის დამოკიდებული პარტიულ აქტივზე. პარტიული აქტივის რიცხვიდან შერჩეული და დამტკიცებულია 37 შტატგაიმე ლექტორი და 24 კონსულტანტი, პოლიტწრეებისა და პოლიტსკოლების 74 პროპაგანდისტი და მრავალი აგიტატორი. უკანასკნელი 6 თვის მანძილზე პარტიული აქტივიდან 95 კაცმა წაიკითხა ლექცია და მოხსენება მოსახლეობაში.

წელს რაიკომის აქტივისტებისაგან პირველად შეიქმნა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის 5 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 93 კომუნისტი, ხოლო პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეებში გაერთიანებულია და ბოლშევიკური პარტიის ისტორიას და თეორიას სწავლობს 472 კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი. მიმდინარე სასწავლო წელს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლისათვის შექმნილია 21 წრე 416 მსმენელით. 401 კაცი სწავლობს პოლიტსკოლებში. 94 კომუნისტი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის გზით იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს. პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნილია პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელშიც ჩაბმულია 22 ამხანაგი.

აქტივიდან შერჩეული პროპაგანდისტების უმრავლესობა უნარიანად ხელმძღვანელობს წრეებსა და პოლიტსკოლებს. გაძლიერდა თეორიული და მეთოდური დახმარება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი აქტივისადმი. მათთვის იკითხება ლექციები, მოხსენებანი, ეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები.

პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში უმხიშვნელოვანეს როლს ასრულებს პარტიული აქტივის კრება. როგორც წესი, აქტივის კრება უნდა იწვეოდეს რეგულარულად, რომელზეც განხილულ უნდა იქნას როგორც პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, ისე ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო, კულტურული ცხოვრების აქტუალური საკითხები. პარტიული აქტივის კრებაზე გამოვლინებულ უნდა იქნას პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში დაშვებული შეცდომები და ნაკლი, შემუშავებულ იქნას მათი გამოსწორებისათვის კონკრეტული ღონისძიებანი.

აქტივის კრებებს ჯერ კიდევ ვერ ვამზადებთ სათანადოდ, საკითხების მომზადებაში ვერ ვაბამთ პარტიულ აქტივს, ვერ ვახერხებთ აქტივის კრებანი რეგულარულად მოწვევას. გასულ წელს მხოლოდ ორჯერ მოვიწვიეთ პარტიული აქტივის კრება. კრებებზე გამოსული ამხანაგების ნაწილიც არსებითად არ მსჯელობს საკითხებზე, არ ჰყოფნის გამბედაობა ამხილოს როგორც საკუთარი, ისე რაიონული კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებანი. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურად ვერ მუშაობს აქტივთან, ჯერ კიდევ არასაკმაოდ ზრუნავს კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით აქტივის აღსაზრდელად.

ამ ნაკლს ჩვენ გამოვასწორებთ. მივაღწევთ პარტიული აქტივის კრებების რეგულარულად მოწვევას და ამ კრებებზე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღებას, უყურადღებოდ არ დავტოვებთ არც ერთ საქმიან კრიტიკულ შენიშვნას, წინადადებას, სიგნალს.

პარტიულ აქტივთან ყოველდღიურ მუშაობით, მასზე დაყრდნობით წითელწყაროს რაიონის პარტიული ორგანიზაცია უფრო გააძლიერებს პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, უკეთესად მოაწყობს რაიონის მშრომელთა დარაზმვას მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

მ. ციხისთავი

საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერთი თარგმანის შესახებ

ამას წინათ გამოვიდა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ლექსების ქართული თარგმანი. იგი შესრულებულია ვ. წულუკიძის მიერ.

წიგნში რამდენიმე დამაკმაყოფილებლად შესრულებული თარგმანია. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ლექსები „საქართველოს მთებს მწუხრის ბინდი გადაფენია“, „მე ვადღეგრძელებ მერის“, „ძეგლი“ და სხვ.

მაგრამ ვ. წულუკიძის თარგმანში პუშკინის მრავალ ლექსს დაკარგული აქვს აზრის სისხარტე, გამოთქმის লაკონურობა, მუსიკალობა და მომხიბვლელობა, რაც ასე დამახასიათებელია დიდი პოეტისათვის. სანიმუშოდ მოგვყავს ა. პუშკინის ლექსი „პატიმარი“. აი როგორ თარგმნის ამ ბრწყინვალე ლექსს ვ. წულუკიძე:

ვზივარ ნესტიან ბნელ საკანში გამოკეტილი.
გარეთ არწივი, ტყვეობაში გამოკვებილი,
ჩემი მწუხარე ამხანაგი დღითა და ღამით
სარკმლის ქვეშ ჰკორტნის სისხლიან ხორცს
ფრთების ხამხამით.

ან კიდევ მეორე მაგალითი („სცენა „ფაუსტიდან“):

...მე ერთსა გკითხავ: როდის არ იყავ
შენ მოწყენილი? ბაშინ ხომ არა,
როს ვერგელუსის ლექსებზე მყვინთავს
სიფხიზლეს გგვრიდა წკეპლების ძალა?
...ან იქნებ იმ დროს, როს სასოებით
მეცნიერების — მაღალ ოცნების
იძირებოდი ალრეულ ზღვაში,
მაგრამ ხომ გახსოვს შენ, სწორედ ბაშინ
ღონე მიხდომია ღრმა მოწყენისგან,
მე გამომიხმე ჯოჯოხეთიდან,
ვით არლეკინი. ვესწრაფებოდი
რა შენს გართობას, ვბრუნავდი, ვხტოდი
შენ წინ, ვით ჭინკა, ვიგრიხებოდი...

ნუთუ ეს არის დიდი რუსი პოეტის მგზნებარე სტრიქონები?

პრიმიტიულია მთარგმნელის პოეტური ხერხები. განსაკუთრებით ეს ითქმის რითმის შესახებ. ვ. წულუკიძე იყენებს ასეთ რითმებს: „ზვინებით-ნაკადულებით“, „ფაუსტ-ასულს“, „ეკარბა-ეჯახება“, „დანამულები-ყვავილებით“, „ალაგებ-აფასებ“, „წინა-წიგნსა“, „ხედავს-რეკავს“ და ა. შ.

ვ. წულუკიძე ანგარიშს არ უწევს ქართული ენის ბუნებას და თავს აბავებს მას სინტაქსურად უცხო კონსტრუქციას. მაგალითად:

...და ყაყანებდა ბრბოს ჩლუნგი ენა:
რისთვის ის ეგრე ტკბილად ხმოვნებს? („ბრბო“).

მთარგმნელი ხშირად ორიგინალის აზრსაც ამახინჯებს. ლექსში „ზამთრის საღამო“ წერია:

Наша ветхая лачужка
И печальна и темна.—
Что же ты, моя старушка,
Приумолкла у окна?

თარგმანში ეკითხულობთ:

ჩვენი ქოხი ღამე-ბნელში
უსმენს მოთქმას შემაწუხარს!
ჩემო ბებო, სავარძელში
ეგრე რისთვის მინაბულხარ.

სხვა გადახვევებს რომ თავი დავანებოთ, მთარგმნელი ამ ლექსში პოეტის გამზრდელს რატომღაც „ბების“ უწოდებს. ასევე იქცევა იგი ლექსში „გადიას“.

ლექსში „ზამთრის გზაზე“ პოეტს აქვს:

Что-то слышится родное
В долгих песнях ямщика:
То разгулье удалое,
То сердечная тоска...

ვ. წულუკიძე თარგმნის:

ჰანგს მშობლიურს, ჰანგს ნაღვლიანს
ვგრძნობ მეეტლის ღიღინზედა:
იქ ხან სულის სილაღეა,
ხან მამულის დიდი ხევდა.

შესანიშნავი ლექსის „ზღვისადმი“ სიტყვები „смиренный парус рыбарей“ ნათარგმნია: „იალქნიანი მშვიდი ტლუ ნავი“. გაუგებარია რათ შეეხება მთარგმნელმა ეს „ტლუ ნავი“.

თარგმანი დაბალ დონეზე დგას ენის სიწმინდის მხრივ, არის პროვინციალიზმების შემთხვევებიც.

წიგნში ხშირად ვხვდებით აზრობრივად არასწორ გამოთქმებს და აშკარა გაუგებრობებსაც. ლექსში „ყალმუხ ქალს“ ვულგაროული და არაზუსტი სტრიქონები: „გალოპით ხტომაც არ გხლეჩს შუაზე“ სრულიად არ შეესაბამება ორიგინალს.

ლექსში „ზამთრის გზაზე“ ვკითხულობთ: „მარხილი ჰქრის — მითქარუნებს“. ჯერ-ერთი, მარხილის შესახებ უნდა თქმულიყო „მიჰქრის“, მეორეც, გაუგებარია მარხილის „თქარუნი“.

მთარგმნელს პუშკინის სიტყვები: „Стою над снегами у края стремнины“ გადმოცემული აქვს ასე: „მე ვდგავარ საშიშ მწვერვალის პირად“. ვ. წულუკიძეს стремнина—უფსკრულის ნაცვლად რატომღაც „მწვერვალად“ უთარგმნია, მაგრამ ის არ მიუღია მხედველობაში, რომ მწვერვალის პირად დგომა შეუძლებელია.

პუშკინის ერთ-ერთ მშვენიერ ლექსში ვკითხულობთ:

Под'езжая под Ижоры,
Я взглянул на небеса
И воспомнил ваши взоры,
Ваши синие глаза.
Хоть я грустно очарован
Вашей девственной красой...

ი. წულუკიძის თარგმანიც:

როცა იჟორს მივუჯერი
და ცა ლურჯად დამათვლდა,
მე უმალვე ოსფერი
თქვენი მზერა გამახსენდა.
თუმცა თქვენი სიქალწულით
უიმედოდ ვარ ტყვექმნილი...

სად უწერია პუშკინს ან „მიჯრა“ ან „ლურჯად დათვლება“? მაგრამ თუ მთარგმნელი ცვლის ავტორისეულ შინაარსს, თარგმანში უაზრობა მაინც არ უნდა დაწეროს. განა შესაძლებელია „იისფერი მზერა?“ ესეც არ იყოს, რაღაა „სიქალწულით უიმედოდ ვარ ტყვექმნილი“?

ლექსში „ზამთრის საღამო“ ვკითხულობთ: „თან მიმღერე... გოგონა მარგალიტი წყალზე რისთვის დადიოდა“. ვფიქრობთ, მთარგმნელსაც გაუძნელდება პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. (დედანშია „Спой мне песню, как девица, за водой поутру шла“).

მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა...

დიდი რუსი პოეტის ა. პუშკინის უკვდავ ნაწარმოებთა გამოცემისას უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა როგორც მთარგმნელს, ისე „საბლიტგამს“.

რევაზ თვარაძე
სარგის ცაიშვილი

თბილისის ოლქის თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობას სანიმუშოდ აქვს მოწყობილი მესაქონლეობის ფერმა. ფერმაში მწყემსებისათვის არის დასასვენებელი ოთახი. **სურათზე:** კოლმეურნეობის მწყემსები (მარცხნიდან მარჯვნივ) ხ. ზუროშვილი, ა. გრძელიშვილი და გ. აკოფაშვილი დასვენების დროს რადიომიმღებთან.

ფოტო მ. თელიაშვილისა

ჩვენ გვწერენ

სახლების რემონტს აჭიანურებენ

სამ-ოთხი წლის წინათ ორჯონიკიძის ქუჩის № 74 სახლის მობინადრეებმა ქ. თბილისის სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს მიმართეს განცხადებით, სადაც წერდნენ, რომ სახლის კედლები დაბზარულია, სახურავში წვიმა ჩამოდის. საბინაო სამმართველოს მუშაკებმა მდგომარეობა ადგილზე შეამოწმეს და მცხოვრებლებს აღუთქვეს, სახლს მალე შეკეთებთო.

გავიდა წლები, სახლის მდგომარეობა უფრო გაუარესდა. სტალინის რაიონის საბინაო სამმართველომ სახლის რემონტი 1950 წლის ხარჯთაღრიცხვით გაითვალისწინა. მაგრამ „მოულოდნელი მიზეზის“ გამო, როგორც ამას საბინაო სამმართველოს ინჟინერი გ. გორდელაძე აცხადებს, სახლი არ შეუკეთებიათ. სამწუხაროდ, ამ „მოულოდნელმა მიზეზმა“ 1951 წელსაც იჩინა თავი და სახლის შესაკეთებლად გათვალისწინებული 85.000 მანეთი სხვა დანიშნულებისათვის დახარჯეს.

— თუ რამემ ხელი არ შეგვიშალა, წელს სახლს უსათუოდ შევაკეთებთო, — ამშვიდებს მობინადრეებს ინჟინერი გ. გორდელაძე.

ორჯონიკიძის ქუჩის № 74 სახლი გამონაკლისი როდია. უარეს მდგომარეობაშია კლარა ცეტკინის ქუჩის № 99 სახლი. თავის დროზე მის შესაკეთებლადაც გაითვალისწინეს 115.000 მანეთი, მაგრამ ეს თანხა სხვა დანიშნულებისათვის დახარჯეს. სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს ორჯონიკიძის, ყარგარეთელისა და ნინოშვილის ქუჩის № 33, № 3 და № 23 სახლები.

სტალინის რაიონის საბინაო სამმართველომ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას მუშაობა და დაიჩქაროს სახლების რემონტი.

ი. თევდორაშვილი

დედის ინტერესების დასაცავად

ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს თანამშრომელმა ტატიანა ანდრონოვამ გასული წლის 21 მარტს ამავე ტრესტის ყოფილ მმართველს ბ. ჯიქიას ასეთი განცხადებით მიმართა: „სადეკრეტო შვებულების დამთავრების გამო გთხოვთ გამგზავნოთ წინანდელ სამუშაოზე“. განცხადება საქმეში ჩააკერეს, ტრესტის მმართველმა ბ. ჯიქიამ კი ტ. ანდრონოვას განუცხადა, ვ. კასაბაშვილს მოველაპარაკებიო (ვ. კასაბაშვილი ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის ყოფილი უფროსია). არავინ იცის, რა მოილაპარაკეს მათ, ერთი კი ნათელია: ჩვილი ბავშვის დედა ტ. ანდრონოვა სამუშაოზე არ დაუშვეს.

მრავალჯერ მიმართა ტ. ანდრონოვამ ტრესტს, ზემდგომ ორგანოებსაც, მაგრამ ამაოდ. წარმოების გაჯიუტებულ ხელმძღვანელებზე ზემოქმედება ვერავინ მოახდინა.

სადეკრეტო შვებულებიდან რვა თვის გასვლის შემდეგ ტყიბულშახტმშენის ტრესტში დაიწერა ბრძანება ტ. ანდრონოვას საბინაო-კომუნალური განყოფილების საწყობის გამგედ დანიშვნის შესახებ.

ამას წინათ ტ. ანდრონოვამ განცხადებით მიმართა ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს საარმშენებლო კომიტეტთან არსებულ საკონფლიქტო კომისიას წარმოების მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღეების ანაზღაურების შესახებ. საკონფლიქტო კომისიამ არასწორი დადგენილება გამოიტანა: „უარი ეყოს ტ. ანდრონოვას სამუშაო დღეების ანაზღაურებაზე, ვინაიდან სადეკრეტო შვებულების დამთავრების შემდეგ მას ადმინისტრაციისათვის განცხადებით არ მიუმართავს“.

ტ. ანდრონოვას კანონიერი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საბჭოთა დედის ინტერესების შემლახველნი დაისაჯონ.

ვ. ცირეკიძე

ზრაქვორების რემონტი ჭიანურდება

სტალინირის მტს-ი (დირექტორი ამხ. მ. მოისწრაფიშვილი) მომსახურებას უწევს რაიონის 19 კოლმეურნეობას. გასულ წელს მტს-მა ვერც ერთ კოლმეურნეობაში ვერ შეასრულა სატრაქტორო სამუშაოები ყველა სახის მიხედვით, დაარღვია კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულება, რომელსაც კანონის ძალა აქვს. შარშან მტს-მა ვერც საშემოდგომო ხორბლის თესვისა და ახალი მიწების ათვისების გეგმა გაანაღდა.

სტალინირის მტს-ი მოუწყობელია. მექანიზატორებისათვის არ ყოფნას საცხოვრებელი ბინები, არა აქვს კლუბი, შესაფერი შენობა კანტორისათვის, სასადილოსათვის. ტრაქტორებისა და კომბაინების შესანახი ფარდული ვერ იტევს სადგურის მანქანა-იარაღების მესამედსაც, ამიტომ ბევრი ძვირფასი მანქანა ცის ქვეშ ყრია. ასევე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას გარაჟი. სივიწროვეა სარემონტო საამქროში.

მტს-მა ჩაშალა ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის გეგმის შესრულება გასული წლის მეოთხე კვარტალში. მართალია, ამ მხრივ იანვარში მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ მუშაობის ახლანდელი ტემპი არ იძლევა ყველა ნაკლის უახლოეს დროში აღმოფხვრის საშუალებას.

ცნობილია, თუ როგორ ამოკლებს სამუშაოთა ვადებს და ამაღლებს რემონტის ხარისხს ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი. მიუხედავად ამისა, ამ მეთოდით მუშაობისათვის აქ არ არის განწორციელებული საჭირო ღონისძიებანი. სარემონტო საამქროში (გამგე პ. მოსკალეცი) მტკიცე წესრიგი არ არის დამყარებული. საამქროს სივიწროვეც ხელს უშლის კვანძური მეთოდით მუშაობას.

პრიმიტიულად არის მოწყობილი სარემონტო საამქროს საჭედლო. აქ ერთადერთი გვერდებშემომცვდარი გრდემლი აქვთ. მჭედელმა ნიკო ჭოველიძემ გვითხრა: — გრდემლის უსწორო ზედაპირი ხელს გვიშლის ჭედვის დროს ზუსტი ფორმა მივცეთ ლითონს, ცუდად გაკეთებული ნაწილი კი აზიანებს მანქანას.

შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენენ მტს-ის ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები შრომის ნაყოფიერების გადიდების ისეთი მძლავრი პირობისადმი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესოდ მოწყობა. მართალია, მექანიზატორები ებმიანან სოციალისტურ შეჯიბრებაში, იწერება ხელშეკრულებები, მაგრამ შეჯიბრების შემოწმებისათვის არავინ იწუხებს თავს. მაგალითად, გასულ წელს ცალკეულმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყების წინ სატრაქტორო ბრიგადებს შორის „ჩაღდებოდა“ სოციალისტური შეჯიბრება, მაგრამ ვალდებულების შესრულება ერთხელაც არ შეუმოწმებიათ. ასეთი მდგომარეობაა ახლაც. ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში ადამიანებს აჩვევს თავიანთი სიტყვის უპატივცემლობას, ამცირებს მათს პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე.

მტს-ი დაკომპლექტებული არ არის მექანიზატორთა კადრებით. დასახული ამოცანის წარმატებით შესრულების ინტერესები მოითხოვენ სატრაქტორო ბრიგადების ორცვლიანი მუშაობის მოწყობას, ამისათვის კი მტს-ს არ ყოფნის 19 ტრაქტორისტი. ახლახან მტს-ში მუშაობა დაიწყო ტრაქტორისტების მოსამზადებელმა სამთვიანმა კურსებმა (ხელმძღვანელი კ. კულუმბეგოვი). კურსების მსმენელთა (15 კაცი) ერთი ნაწილი არ იცავს დისციპლინას, უმიზეზოდ აცდენს მეცადინეობას.

იმის გამო, რომ მტს-ს ტრაქტორების რეზერვი არ აღმოაჩნდა, გასულ წელს არ მოხერხდა 5 ტრაქტორისტის გაგზავნა კომბაინერებად გადამზადებისათვის სურამის მექანიზატორთა სკოლაში.

მანქანა-იარაღების შემოდგომა-ზამთრის რემონტის დღეებში მექანიზატორთა შორის სუსტად არის დაყენებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. საამქროში ეს საქმე მინდობილი აქვს კომუნისტ პ. მოსკალეცს, მაგრამ იგი არაფერს არ აკეთებს პარტიული დავალების შესასრულებლად. მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჭამპურიძე სერიოზულ შეცდომას უშვებს, როცა მექანიზატორებთან საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლას ურიგდება.

ახლოვდება გაზაფხული. მექანიზატორები მალე მინდორში უნდა გავიდნენ სამუშაოდ. იმაზე, თუ როგორ მოემზადება მტს-ი ამ პასუხსაგები საქმისათვის, დიდად იქნება დამოკიდებული მინდვრად მუშაობის პრაქტიკული შედეგები.

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს, პარტიის სტალინირის რაიკომს მოეთხოვებათ კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ მტს-ს, ყოველდღიურად დაეხმარონ მექანიზატორებს მათ წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

დამნაშავე მოხსნილია სამუშაოდან

რედაქციაში შემოვიდა სოფლკორის წერილი, რომელიც ამხილებდა ხაშურის რაიკოოპკავშირის ღვინის საწყობის გამგის დ. კილაძის ბოროტმოქმედებას. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს.

როგორც ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ავალიანი გვაცნობებს, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ხაშურის რაიკოოპკავშირის ღვინის საწყობის გამგე დ. კილაძე მოხსნილია სამუშაოდან.

საერთაშორისო მიმოხილვა

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მორალურ-პოლიტიკური დამარცხება

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უდიდესი გაქანება, კაპიტალისტური სისტემის საგარეო და საშინაო წინააღმდეგობათა გამწვავება მოწმობს, რომ იმპერიალიზმი სულ უფრო სუსტდება.

ატლანტიკის ბლოკი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები მეთაურობენ, სულ უფრო მზარდ სიძნელეებს განიცდის. მას ღრღნიან შინაგანი წინააღმდეგობანი, სულ უფრო აახლოებენ სახელმწიფოთა ამ აგრესიული დაჯგუფების დაშლას.

ამის მკაფიო ილუსტრაციაა მორალურ-პოლიტიკურ დამარცხებათა მთელი სერია, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ განიცადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე მთელი რიგი საკითხების განხილვისას. ცნობილია, რომ ამერიკის დელეგაცია უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის ადგილზე კანდიდატურების კენჭისყრის თვრამეტი ტურის განმავლობაში დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. გამოიყენეს რა უხეში ზემოქმედება და დაშინება, ამერიკელებმა მხოლოდ მე-19 ტურში მიაღწიეს უშიშროების საბჭოში საბერძნეთის უკანონოდ „არჩევას“ ბელორუსიის ნაცვლად.

როდესაც სესია იხილავდა საკითხს ამერიკის 1951 წლის 10 ოქტომბრის კანონის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის 100 მილიონი დოლარის გაოიბას, ამერიკის დელეგაციამ ახალი მარცხი განიცადა. როცა კენჭი უყარეს, საბჭოთა რეზოლუციას „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ“, 5 დელეგაციის (სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბელორუსია, უკრაინა) შემდეგ, რომლებმაც ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, 11 დელეგაციამ, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნებს 571 მილიონზე მეტი სული მოსახლეობით, თავი შეიკავა. ამით აღნიშნულმა დელეგაციებმა უარი უთხრეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მხარდაჭერაზე.

ფრიად საგულისხმო იყო გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში კენჭისყრა საბჭოთა წინადადებებისა „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“. დისკუსიის მსვლელობაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელნი დაჟინებით მოუწოდებდნენ დელეგაციებს უარეყოთ რეზოლუციის საბჭოთა პროექტის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ცნობილ იქნას ატლანტიკის ბლოკში მონაწილეობისა და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნის შეუთავსებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან, მეორე მუხლი, რომელიც ეხება კორეის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას, და მერვე პუნქტი — ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

იმ დელეგაციათა რიცხვი, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი ამერიკა-ინგლისის ბლოკს, აღნიშნული პუნქტების კენჭისყრის დროს აღწევდა 12-დან 24-მდე. მაგალითად, საბჭოთა კავშირის წინადადებას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ ხმა მისცა 11 დელეგაციამ და 13 დელეგაციამ თავი შეიკავა.

როგორც ვიცით, „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენების გამო 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო, დაემატა პუნქტი, რომლის მიხედვით საგალდებულო არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებებში“. ეს პროექტიც მოწმობს, რომ გეგმები ჩაეშალათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს. ჩაიფუშა აგრეთვე ამერიკა-ინგლისის ცდა ხელი შეეშალათ აგრესიის განსაზღვრის საკითხის დამუშავებისათვის. გენერალური ასამბლეის იურიდიულ კომიტეტში დელეგატების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაღალი შეფასება მისცა აგრესიის განსაზღვრას, რომელიც სსრ კავშირმა წარადგინა, თუმცა ზოგიერთი დელეგატი აცხადებდა, რომ საჭირო აღნიშნულ განსაზღვრაში ამა თუ იმ დამატებისა და შესწორების შეტანა. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც აგრესიულ პოლიტიკას ეწევიან, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ შეუძლებელია აგრესიის განსაზღვრა.

საფრანგეთის, ირანისა და ვენესუელის დელეგაციებმა შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც აღნიშნული იყო „აგრესიის განსაზღვრის პრობლემის დიდი მნიშვნელობა“. ამასთან პროექტი არ ითვალისწინებდა აგრესიის განსაზღვრის საკითხის როგორც დამოუკიდებელი საკითხის განხილვას. მაგრამ მთელი რიგი დელეგაციების მიერ შეტანილმა არსებითმა შესწორებებმა (რომლებიც შემდეგ მიიღო კომიტეტმა) შეუცვალეს აზრი ამ პროექტს და მისაღები გახადეს იგი იმ დელეგაციებისათვის, რომლებიც გულწრფელად ცდილობდნენ მიღწეულიყო აგრესიის განსაზღვრა.

რეზოლუციის საბოლოო ტექსტი პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნა 30 დელეგაციის ხმებით, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაციის ხმითაც. წინააღმდეგ მისცა ხმა მხოლოდ 12 დელეგაციამ (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვ.). 8 დელეგაციამ თავი შეიკავა.

ცნობილია, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო საბჭოთა რეზოლუციის პროექტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე.

ინგლისელ-ამერიკელი კოლონიზატორები დამარცხდნენ სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტშიც, სადაც 33 ხმის უმეტესობით 9 ხმის წინააღმდეგ (10-მა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუხლი ყველა ხალხისა (ეს ერის თვითგამორკვევის უფლების შესახებ შეტანილ იქნას ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, რომელმაც ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მისცა ხმა, მხარი დაუჭირა მარტო 8 დელეგაციამ.

29 იანვარს ამერიკის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ახალი სერიოზული მარცხი განიცადა. გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში დელეგაციათა უმეტესობამ არ მოისურვა მხარი დაეჭირა ამერიკელთა და გომინდანელთა პროვოკაციული ნაყალბევისათვის. ინდოეთის წარმომადგენელმა, გამოთქვა რა ამ დელეგაციათა აზრი, უარყო გომინდანელთა ნაბოლარების ცილისწამება. მხოლოდ 24 დელეგაციამ მისცა ხმა გომინდანელთა „რეზოლუციას“. 36 დელეგაციამ (9 დელეგაციამ ხმა მისცა „რეზოლუციის“ წინააღმდეგ და 27-მა თავი შეიკავა) უარი თქვა მხარი დაეჭირა გომინდანელთა ჭორისათვის.

ამერიკელთა ჩარევა ეგვიპტის საშინაო საქმეებში

27 იანვარს ეგვიპტის მეფემ ფარუკმა დაშალა ნაჰას-ფაშის მთავრობა და ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა ყოფილ პრემიერს ალი მაჰერ-ფაშას.

უცხოეთის, განსაკუთრებით ამერიკის გაზეთების ცნობები ცხადყოფენ, რომ ეგვიპტეში გადატრიალებას ფარულად აწყობდნენ გარკვეული „უცხოელთა წრეები“. „კორესპონდენტები იუწყებიან, — გამოაცხადა ჰამბურგის რადიომ, — რომ მეფე ფარუკი იძულებული იყო უცხოელთა დიპლომატების ზეგავლენით დაევალებინა ახალი მთავრობის შედგენა ალი მაჰერ-ფაშისათვის“. ამრიგად, გასაგებია კაიროში ამერიკის ელჩის კეფერის მეტად აქტიური საქმიანობა, რაც წინ უძღოდა ეგვიპტის ახლანდელი პრემიერ-მინისტრის ალი მაჰერ-ფაშის ხელისუფლების სათავეში ჩადგომას. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გონსალესი გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე იუწყებოდა, რომ კეფერის მთელი რიგი „კონსულტაციები“ ჰქონდა ეგვიპტის წარმომადგენლებთან. ნაჰას-ფაშის მთავრობის გადაყენების ერთი დღის წინ — 26 იანვარს — კეთერომ ინახულა ეგვიპტის მეფე და წარუდგინა მემორანდუმი, რომელიც მოითხოვდა ეგვიპტეში „არეულობის“ შეწყვეტას. როგორც უცხოეთის პრესა იუწყებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირები უკვე მაშინ პირდაპირ ასახელებდნენ ალი მაჰერ-ფაშას ნაჰას-ფაშის მემკვიდრედ.

ყოველივე ამის გამო სავსებით აშკარა ხდება, თუ რა ხასიათის იყო ამერიკის „კაიროელი ელჩის „კონსულტაციები“.

ინგლისელი ჟურნალისტი დერეკ კარტენი გაზეთ „დეილი უორკერში“ ეგვიპტის პრემიერ-მინისტრად ალი მაჰერ-ფაშის დანიშვნას აფასებს როგორც „მანევრს, რომელსაც მიმართეს... იმ მიზნით, რომ მოემზადებინათ ეგვიპტეში დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ინტერესებისათვის ღიაატი“. „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ მაჰერ-ფაშას დიდი ფინანსური ინტერესები აქვს ფირმებში, რომლებსაც ამერიკელები უწევენ კონტროლს.

ეგვიპტეში იმპერიალისტების შემდგომი მოქმედების გეგმების შესახებ გარკვეულად არის ნათქვამი ინგლისური გაზეთის „დეილი მეილის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობაში. როგორც კორესპონდენტი ამბობს, ამერიკის ელჩს ეგვიპტეში მიეცა ინსტრუქციები „ყოველი საშუალება გამოიყენოს“, რათა მიაღწიოს იმას, რომ ეგვიპტე შეყვანილ იქნას ეგრეთწოდებულ „შუა აღმოსავლეთის სარდლობაში“. ამ სარდლობას, როგორც ცნობილია, განზრახული აქვს ეგვიპტე ოკუპირებულ იქნას არა მარტო ინგლისის, არამედ აგრეთვე ამერიკის მიერ მისი „დაცვის“ საბაბით. „შეერთებულ შტატებს, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ სუეცის არხის კონტროლი დასავლეთის ხელში იყოს“. „... რაც უნდა მოხდეს, — წერს გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“, — სუეცის არხის ზოხა დასავლეთმა უნდა შეინარჩუნოს“.

მაგრამ პოლიტიკური შეთქმულებანი, რომლებსაც იმპერიალისტები ახორციელებენ, ვერ შეაკავებენ ხალხთა მზარდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. როგორც ირანული გაზეთი „ბაჰედი“ სამართლიანად აღნიშნავდა, „ინგლისელმა კონსერვატორებმა და მათმა ამერიკელმა თანამონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ პოლიტიკური შეთქმულებანი ვერ შეაჩერებენ ისტორიული ამბების მსვლელობას“.

საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე ბომბეიში

საბჭოთა პავილიონი საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე ბომბეიში ათეულათასობით ინდოელს იზიდავს. მაგალითად, 20 იანვარს გამოფენა დაათვალიერა 50 ათასმა კაცმა, ხოლო 26 იანვარს უკვე 100 ათასამდე კაცმა. შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი აღფრთოვანებული ჩანაწერია.

„ჩვენ ვნახეთ, — წერს დამთვალიერებელთა ჯგუფი, — დიდი ქვეყნის დიდი მიღწევანი, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ჩვენ არასოდეს არ დაგავიწყდება ეს გამოფენა“.

ინდოელი ხალხი გამოთქვამს თავის მხურვალე და მეგობრულ გრძნობებს საბჭოთა კავშირისადმი. ქალაქ ბომბეის მცხოვრებნი საბჭოთა პავილიონში მიდიან ოჯახებიანად. ექსპონატებთან შეიძლება ნახოთ ბავშვებიანი ქალები, ღრმა მოხუცები. „უკვე ხუთი წელიწადია შინიდან არსად გავსულვარ და სიკვდილს ველოდები, — თქვა გამოფენის დათვალიერების შემდეგ მოხუცმა ინდოელმა. — მაგრამ ახლა, როცა საბჭოთა პავილიონში ვიყავი, კვლავ მომინდა სიცოცხლე“.

ჩანაწერები პავილიონის შთაბეჭდილებათა წიგნში, აგრეთვე ინდოეთის პრესის მრავალი გამოხმაურება ცხადყოფს ამ ქვეყნის სხვადასხვა წრეების ფართო მისწრაფებას საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისადმი. ეროვნული სამრეწველო კომპანიების წარმომადგენლები მოითხოვენ სსრ კავშირთან ინდოეთის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას. „ინდოეთის ხალხი და მთავრობა, — წერს ყოველკვირეული „ბლიტცი“, — უნდა მიესალმონ საერთაშორისო სამრეწველო გამოფენას, იმიტომ რომ იგი გვიჩვენებს ჩინეთთან, სსრ კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების გზას“.

ინდოეთის პროგრესულ წრეებს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილ სერიოზულ წვლილად მიაჩნიათ.

მ. აფოლნინი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ამერიკა-ინგლისის ბლოკმა საპროცედურო ხრიკით ხელი შეუშალა საბჭოთა წინადადების მიღებას, რომლის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაწყვეტა

1 თებერვლის კლენარული სხდომა

პარიზი, 1 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე განხილულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხი. ასამბლეას წარედგინა პოლიტიკური კომიტეტის მიერ მიღებული სამი რეზოლუციის პროექტი.

რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეიტანა პერუს დელეგაციამ, რომელიც, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პირდაპირი კარნახით მოქმედებდა, მნიშვნელოვნად შეცვლილი სახითაც კი მიზნად ისახავს გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველი სახელმწიფოების მიმართ ფაშისტიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციის პოლიტიკა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ. ეს პროექტი არ იძლევა გამოსავალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხში შექმნილი ჩიხიდან, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკა-ინგლისის ბლოკის სხვა ქვეყნების პოზიციის შედეგად წარმოიშვა.

პოლიტიკურმა კომიტეტმა სწორედ ამიტომ მოიწონა ხმის უმეტესობით საბჭოთა რეზოლუციის პროექტი, რომელიც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სამართლიანად გადაწყდეს წესდების საფუძველზე ახალი წევრების მიღების საკითხი. ამ პროექტის თანახმად, გენერალური ასამბლეა რჩევას აძლევს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს ალბანეთის, მონოლოთეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, ტრანსიორდანიის, ავსტრიის, ცეილონისა და ნეპალის განცხადებანი და განიხილოს ლიბიის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის სამართლიანი, წესდების მოთხოვნებზე დამყარებული გადაწყვეტისათვის ხელის შეშლის ცდას წარმოადგენს რეზოლუციის მესამე პროექტი, რომელიც სასწრაფოდ შეიტანეს პოლიტიკურ კომიტეტში ცენტრალური ამერიკის ხუთი ქვეყნის დელეგაციებმა, რომელნიც ცდილობდნენ რევანში აეღოთ იმ დამარცხებისათვის, რაც განიცადა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელმაც ხელი ვერ შეუშალა პოლიტიკურ კომიტეტში საბჭოთა რეზოლუციის პროექტის მოწონებას. რეზოლუციის ეს მესამე პროექტი მოითხოვს შემდეგ გენერალურ ასამბლეაზე განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, რომ კვლავ მიმართონ საერთაშორისო სასამართლოს ახალი წევრების მიღების საკითხზე „კონსულტაციისათვის“, თუმცა, როგორც ცნობილია, საერთაშორისო სასამართლოს უფლება არა აქვს რაიმე დასკვნა გასცეს ამ საკითხზე.

გამოვიდა რა ხმის მიცემის მოტივების გამო, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა დამაჯერებლად გააკრიტიკა პერუს რეზოლუციის პროექტი, აგრეთვე ცენტრალური ამერიკის ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტი და ცხადყო, რომ ორივე ამ პროექტის მიზანია გვერდი აუარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაწყვეტას. მალიკმა აგრეთვე ცხადყო, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ გზას საბჭოთა რეზოლუციის პროექტი იძლევა.

საბჭოთა რეზოლუციის პროექტი დაიცვეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ერაყისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

მას შემდეგ, რაც ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხმებით მიღებულ იქნა პერუს რეზოლუციის პროექტი, გენერალური ასამბლეა შეუდგა საბჭოთა რეზოლუციის პროექტის კენჭისყრას, რომელიც, როგორც ცნობილია, პოლიტიკურმა კომიტეტმა ხმის უმეტესობით მიიღო. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომამდე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მთელ რიგ დელეგაციებზე, რათა აეძულებინა ისინი უარი ეთქვათ საბჭოთა რეზოლუციის პროექტის მხარდაჭერაზე, მაგრამ მას მაინც ეშინოდა, რომ ეს რეზოლუცია პლენარულ სხდომაზე იქნებოდა მიღებული. ამისათვის რომ ხელი შეეშალა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა საპროცედურო მანევრს მიმართა და განაცხადა — იმისათვის, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტი მიღებულ იქნას, ამ პროექტმა არა უბრალო უმეტესობა, არამედ ხმების ორი მესამედი უნდა მიიღოსო. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ნერვომ განაცხადა,— ჩემი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადება წესდებასა და პროცედურის წესებს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით მან ამ საკითხის გადაწყვეტა გენერალურ ასამბლეას მიანდო. ინგლის-ამერიკის ბლოკის ხმებით წესდებისა და პროცედურის წესების წინააღმდეგ გადაწყდა, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიღებს კენჭისყრის მონაწილე დელეგაციათა ხმების ორ მესამედს. ამის შემდეგ საბჭოთა რეზოლუციის კენჭი უყარეს. რეზოლუციამ მიიღო 22 ხმა, ე. ი. ერთი ხმით მეტი, ვიდრე პოლიტიკურ კომიტეტში კენჭისყრის დროს. საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს 21 დელეგაციამ. 16 დელეგაციამ თავი შეიკავა. საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს მთელმა რიგმა დელეგაციებმა, რომლებმაც სულ რამდენიმე დღის წინათ პოლიტიკურ კომიტეტში კენჭისყრის დროს თავი შეიკავეს. ასეთნი ამ დელეგაციებზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ზეგავლენის შედეგი.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ პლენარულ სხდომაზეც საბჭოთა რეზოლუციამ ხმების უმეტესობა მიიღო, იგი უარყოფილად ითვლება.

როგორც სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა თავის სიტყვაში აღნიშნა, ეს იმ საპროცედურო ხრიკების შედეგია, რომლებიც ამერიკის ბლოკმა განახორციელა თავისი მორჩილი მექანიკური უმეტესობის მეშვეობით. მალიკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტი შეიცავს საპროცედურო ხასიათის წინადადებას — რჩევა მიეცეს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ იმ სახელმწიფოთა განცხადებანი, რომლებიც ჩამოთვლილია ამ პროექტში. ამრიგად, საქმე ეხება არა იმ სახელმწიფოთა მიღებას, რადგან გენერალურ ასამბლეას არა აქვს უფლება ახალი წევრები მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის გაუცემლად, არამედ საქმე ეხება გენერალური ასამბლეის სურვილს. ამიტომ ამერიკის წინადადება საბჭოთა რეზოლუციისადმი იმ წესის გამოყენების შესახებ, რომელიც ხმების ორ მესამედს მოითხოვს, მიზნად ისახავდა ჩაეშალა ამ რეზოლუციის მიღება, რომელსაც მხარს უჭერს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ბევრი სახელმწიფო, არამედ მას მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთაც. — ამრიგად, — თქვა მალიკმა, — მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა წინადადების უარყოფისათვის ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას, რომელმაც საპროცედურო ხრიკით ხელი შეუშალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ 14 სახელმწიფოს მიღების ესოდენ გაჭიანურებული საკითხის გადაწყვეტას, რომელთა მოსახლეობაც 112 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს.

უკანასკნელად კენჭი უყარეს ცენტრალური ამერიკის ხუთი ქვეყნის დელეგაციების მიერ წარდგენილ რეზოლუციას. ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა ამერიკა-ინგლისის ბლოკის ქვეყნების ხმებით.

სხდომის დასასრულს გენერალური ასამბლეის პლენუმმა განიხილა ლიბიის საკითხი. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებმა მათი მორჩილი უმეტესობის მეშვეობით მოახერხეს თავს მოეხვიათ ასამბლეისათვის რეზოლუციის პროექტი, რომელიც არ ითვალისწინებს ლიბიის ნამდვილი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის რაიმე ღონისძიებას. ამავე დროს ამ დელეგაციათა ხმებით უარყოფილ იქნა საბჭოთა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ ცნობილ იქნას შეუწყნარებლად ლიბიის ტერიტორიაზე უცხოელთა ჯარების ყოფნა და უცხოელთა სამხედრო ბაზების არსებობა, რომლებიც წარმოადგენენ აგრესიული ატლანტიკის ბლოკის საომარი გეგმების განხორციელების ღონისძიებებს. საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, საჭიროდ მიაჩნია, რომ სამი თვის ვადაში ლიბიის ტერიტორიიდან გაიყვანონ იქნას უცხოელთა მთელი ჯარები და სამხედრო პერსონალი და ლიკვიდირებულ იქნას უცხოელთა ყველა სამხედრო ბაზა.

მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტის მოწოდება

ბერლინი, 2 თებერვალი. (საკდესი). ადენ-ის საგენტოს ცნობით, მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტმა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ყველა გერმანელს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

„ფედერალურ რესპუბლიკაში ამჟამად „ელიზეტერ აქციებს“ ახორციელებენ გერმანიის კომუნისტური პარტიისა და სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელნიც მშვიდობისათვის იბრძვიან. ჯაშუშთა და პოლიციელთა მთელი არმია ასრულებს ბრძანებებს, რომელთა მიზანია მოისპოს დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინში დემოკრატიისა და ადამიანობის უკანასკნელი ნაშთები, რათა გატეხონ წინააღმდეგობა „საერთო ხელშეკრულებისა“ და არმიაში გერმანელი ახალგაზრდობის გაწვევისადმი.

არავის არა სჯერა, რომ ეს ბრძანებები მიმართულია მხოლოდ კომუნისტების წინააღმდეგ. ეს ბრძანებები ეშეკრნა ყველას, ვინც აშკარად იბრძვის გერმანიის ერთიანობისა და მშვიდობისათვის. ადენაუერის პოლიციის თავდასხმები ისეთივე საომარი მზადებაა, როგორც ჰიტლერის მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიისა და ყველა დემოკრატიული ორგანიზაციის აკრძალვა 1933 წელს.

ვისაც მშვიდობა სურს, ვინც ურთიერთგაგების დამყარებისათვის იბრძვის, ვინც ერთიანი, თავისუფალი გერმანიისათვის იბრძვის, პროტესტი უნდა განაცხადოს ბონის პოლიციური დიქტატურის წინააღმდეგ.

მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტი ამისაკენ მოუწოდებს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს. მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტებმა საწარმოებში, დაწესებულებებსა და საცხოვრებელ სახლებში უნდა გააკონონ მთელ მოსახლეობას პოლიტიკური ამბები და მოუწოდონ მას პროტესტი განაცხადოს ბონის პოლიციური თვითნებობის წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიაში ყველა, ვისაც მშვიდობა სურს, უნდა დარაზმოს, რათა დაიცვას თავისი მოქალაქეობრივი უფლებანი და პირადი თავისუფლება თვითნებობისა და ძალადობისაგან.

ყველანი აღდექით „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, რომელიც ომის მიზნებს ემსახურება!

ყველამ იბრძოლეთ მთელ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის!“

გაზეთი „სე სუარი“ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის სამხედრო თათბირის შესახებ

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „სე სუარი“ იუწყება, რომ ჰენტაგონში (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება) უკვე ერთი კვირაა მიმდინარეობს საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა საიდუმლო სამხედრო თათბირი, რომელზეც განიხილავენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „პრობლემას“ იმ მიზნით, რომ ომი ჩინეთის ტერიტორიაზეც გავრცელდეს.

„სე სუარი“ აღნიშნავს, რომ ეს თათბირი გაგრძელებაა იანვრის ვაშინგტონის თათბირისა, რომელშიც მონაწილეობდნენ გენერლები ბრედლი, ქეუნი და ფელდმარშალი სლიმი.

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებანი

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). 19-20 იანვარს ნიუ-იორკში გაიმართა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომა, რომელიც მიეძღვნა მომავალ წინასაარჩევნო კამპანიას. სხდომას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროგრესული პარტიის ორგანიზაციების 100-ზე მეტმა ხელმძღვანელმა, დაესწრნენ პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, მინესოტის შტატის ყოფილი გუბერნატორი ელმერ ბენსონი, პარტიის ეროვნული კომიტეტის მდივანი ვ. ბოლდუინი, პოლ რობსონი, წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი ვიტო მარკანტონიო, პროფკავშირთა ლიდერები ჯოზეფ სელი და ჰიუ ბრაისონი და სხვ.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ არჩევნებში მშვიდობის ძალების კანდიდატების წამოყენებასთან. კომიტეტმა ყველა თავის ორგანიზაციას სხვადასხვა შტატში მისცა ინსტრუქცია მიღონ ყველა საჭირო ღონისძიებანი ამისათვის, რომ წამოაყენონ პროგრესული პარტიის კანდიდატები ადგილობრივი საარჩევნო კანონებით „გათვალისწინებულ ვადებში. პროგრესულ პარტიისაგან პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე შესაძლო კანდიდატურების განსახილველად შექმნილია კომიტეტი.

ეროვნულმა კომიტეტმა წამოაყენა შემდეგი პროგრამა-მინიმუმი:

„1. ომის შეწყვეტა კორეაში. შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიჩინონ ინიციატივა დიდ სახელმწიფოებს შორის გადაუჭრელი უთანხმოების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ კეთილსინდისიერი მოლაპარაკებისათვის.

2. მშვიდობიანი ეკონომიკის აღდგენა. შეიარაღების ხარჯების მკვეთრად შემცირება. ფასებისა და მოგებისადმი ნამდვილი კონტროლის დაწესება. ხელფასის გაყინვის პოლიტიკის შეწყვეტა და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ბიუჯეტის შედგენა.

3. თანასწორობა ზანგთათვის სამოქალაქო უფლებათა მთელი საკანონმდებლო გარანტიებით.

4. მაკკარტიზმის, მაკკარენიზმის, მაკგრატზმისა და ტაფტ-ჰარტლიზმას აღმოფხვრა; სიტყვისა და მაკარენის კანონების გაუქმება და უფლებათა ბილის აღდგენა“.

პრეზიდენტის მომავალი არჩევნებისათვის მოპირისპირეების კამპანიის შესახებ კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია: „ნათლად ისახება დიდი უკმაყოფილება საგარეო პოლიტიკით, რომელიც ნიშნავს კორეაში უაზრო ომის შეწყვეტაზე უარის თქმას, შეიცავს ინდო-ჩინეთში ახალი საბრძოლო პროვოკაციის საფრთხეს, ნიშნავს გერმანიისა და იაპონიის ხელახალ შეიარაღებას, ფრანკოსთან კავშირს, სულ ახალ-ახალი მილიარდობით დოლარის გაღებას მოკავშირეთა შეიარაღებისათვის და უარყოფს ყველა მშვიდობიან საშუალებას. ძლიერდება ოპოზიცია საშინაო პროგრამისადმი, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღების ხარჯებზე, რასაც მოჰყვა უმუშევრობა, ხელფასის გაყინვა, ფასების ზრდა, გადასახადების გადიდება, ცხოვრების დონის დაქვეითება და რაც არ აძლევა მომავლის არავითარ პერსპექტივას, გარდა ომისა ან დეპრესიისა.

იზრდება უკმაყოფილება მთავრობით, რომელიც ჩაეფლო მექრთამეობის ჭაობში, უარს ამბობს ზანგი ხალხის უფლებათა ან თუნდაც სოციალის დაცვაზე და არსებითად სპობს უფლებათა ბილს, მომრთავს დაშინებასა და რეპრესიებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება“.

ხო ში მინის მიმართვა ხალხისადმი

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტო გადმოგვცემს:

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა, რომელმაც 27 იანვარს რადიოთი სიტყვა წარმოთქვა, განაცხადა, რომ გასულ წელს ვიეტნამელმა ხალხმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა.

„1950 წლის შემოდგომაზე საზღვრისპირა რაიონში ჩვენი ჯარების მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ,—თქვა ხო ში მინმა,—ჩვენმა არმიამ ხუთჯერ მოაწყო თანმიმდევრული შეტევითი ოპერაციები და მოსპო მტრის 38 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ეს გამარჯვება მოპოვებულია ჩვენი არმიის პირადი შემადგენლობის გმირობით და ჩვენი ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერის მეოხებით“.

ხო ში მინმა აღნიშნა, რომ დიდი წარმატება მოპოვებულია აგრეთვე ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში. „ეკონომიურ დარგში,—განაცხადა მან, — ჩვენ შევქმენით ვიეტნამის ეროვნული ბანკი, გავაერთიანეთ ჩვენი ეკონომიური და ფინანსური საქმეების ხელმძღვანელობა და კარგ შედეგებს მივაღწიეთ პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის შეჯიბრებაში. ჩვენ მოვახდინეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადთა უნიფიკაცია“.

პრეზიდენტმა ხო ში მინმა განაცხადა, რომ კონტრშეტევის წარმატებით გჯნხორციელებისათვის საჭიროა ვიეტნამელი ხალხი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მომავალ ლაოსელ და კამბოჯელ ხალხებს და სხვა ხალხებს, რომლებიც ამჟამად იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის.

დასასრულ ხო ში მინმა მოუწოდა არმიასა და ხალხს ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ 1952 წელს უფრო შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვონ.

ჯუნისის ამბები

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). სალამოს გაზეთები იუწყებიან, რომ ქალაქში ტუნისსა და სფაქსში გრძელდება გაფიცვა, მიუხედავად იმისა, რომ 24 საათის საყოველთაო გაფიცვის ვადა დღეს გავიდა 00 საათზე. როგორც გაზეთი „სე სუარი“ იუწყება, ბონის კონკხის რაიონში საფრანგეთის ჯარები განაგრძობენ დამსჯელ ოპერაციებს. გუშინ ქალაქ სფაქსში პოლიციამ მშრომელთა გაფანტვის დროს დაჭრა 11 კაცი, რომელთაგან 3 მძიმე მდგომარეობაშია. ბევრნი დაიპატიმრეს სფაქსსა და სახელში.

გაზეთ „სე სუარს“ მოჰყავს ტუნისელ მშრომელთა განცხადებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ ტუნისელი ხალხის საყოველთაო გაფიცვამ დიდი წარმატებითა და აღმავლობით ჩაიარა.

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). პარიზის დილის გაზეთების ცნობები მოწმობენ, რომ ტუნისელი ხალხის საყოველთაო 24 საათის გაფიცვამ გუშინ დიდი წარმატებით ჩაიარა. გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ ქალაქ ტუნისში მუშაობა შეწყვეტეს ყველა დოკერმა, ცემენტის ქარხნების მუშებმა, ფოსტის მოსამსახურეებმა, ხელოსნებმა, თამბაქოს და ბევრი სხვა საწარმოს მშრომელებმა. დაიხურა სკოლები, ბაზრები და მაღაზიები. ქალაქის ევროპულ ნაწილშიც მაღაზიების მეტი ნაწილი დახურული იყო.

ტუნისის არაბთა უბნებს გარს შემოერტყნენ მოტორიზებული პოლიციის რაზმები, ბევრ ადგილას დადგმულია ტყვიამფრქვევები. ქალაქში დაპატიმრებულია ასობით ადამიანი.

ქალაქებში გულეტსა და მარსაში გაფიცული იყვნენ დოკერები, კომუნალური მეურნეობის მუშაკები და ბევრი საწარმოს მშრომელები. მონასტირსა და სხვა ქალაქებში გაფიცა საყოველთაო იყო. ქალაქ რედეიეფში შექმნილია მოქმედების ერთიანობის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ტუნისის კომუნისტური პარტიის, პარტია „ნეო-დესტურის“, ტუნისის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებისა და ტუნისელ მშრომელთა საყოველთაო კავშირის წარმომადგენლები მიუხედავად ხელისუფალთა მუქარისა, საფრანგეთის ბევრი მოხელე შეუერთდა საგაფიცავო მოძრაობას და, ამნაირად, სოლიდარობა გამოუცხადა ტუნისელი ხალხის გმირულ ბრძოლას.

გუშინ ტუნისის კომუნისტურმა პარტიამ სპეციალური მემორანდუმი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს დოკუმენტი ტუნისის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სესიის თავმჯდომარეს, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს და დელეგაციების მეთაურებს. ამ დოკუმენტში მოთხრობილია ისტორია საფრანგეთის კოლონიური ბატონობისა ტუნისში, მხილებულია ოფიციალური ვერსია ფრანგ კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ და ნაჩვენებია ტუნისელი ხალხისა და ტუნისის ბუნებრივ სიმდიდრეთა მხეცური ექსპლოატაციის შედეგები. კომუნისტური პარტია ამ მემორანდუმში იხსენებს იმ დაპირებებს, რომლებიც მისცეს საფრანგეთის მთავრობამ და ომიანობის დროის მოკავშირეებმა ტუნისელ ხალხს, როცა იგი გმირულად იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ეს დაპირებები საზეიმოდ იყო დადასტურებული ატლანტიკის ქარტიითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. ტუნისელი ხალხი, ნათქვამია მემორანდუმში, მოითხოვს, რომ ეს დაპირებები შესრულდეს და რომ მას უფლება მიეცეს თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ბერლინის საგანგებო ინფორმაციები

ჯალოკაში — ბერლინელი ბანდიტები

2 თებერვალს, მეშვიდე ტური ჯალოკაში იქცევდა ტურნირის ლიდერების ო. ელიოზიშვილსა და ა. ებრალიძის შეხვედრა. პარტიის დაწყებიდან სტადიამ არც ერთ მხარეს არ მისცა უპირატესობა. შემდგომში ა. ებრალიძემ აირჩია თამაშის პასიური გეგმა, რითაც კარგად ისარგებლა ო. ელიოზიშვილმა და ენერგიული სვლებით დაეუფლა პოზიციის საკონტროლო პუნქტებს. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ო. ელიოზიშვილს მატერიალურ უპირატესობასთან ერთად მოსაგები მდგომარეობა აქვს.

ახალგაზრდა პ. არნშტეინმა ლამაზი კომბინაციით 34-ე სვლაზე დაამარცხა ვ. აღამალიანი.

მწვავე თამაშით აღინიშნა ა. დავრანიან — ა. ბუსლაევის შეხვედრა, რომელიც ა. დავრანიანის გამარჯვებით დამთავრდა.

გ. გამრეკელმა ო. წოწოლაშვილთან ორიგინალურად გაითამაშა ფრანგული დაცვა და 37-ე სვლაზე მოიპოვა გამარჯვება.

ა. ჯაკობიამ ვ. ტუგარინოვთან დაუშვა რამდენიმე შეცდომა და დამარცხდა.

მერვე ტური

მერვე ტურში, რომელიც 3 თებერვალს შედგა, ოსტატმა ა. ებრალიძემ ვ. ტუგარინოვს პარტიის დასაწყისში ინიციატივის მიღებისათვის შესწორა პიკი, შემდეგ ფიგურების სწრაფი მობილიზაციის დამთავრებით ლაზიერის ფლანგზე ძლიერი იერიშით მოიგო ფიგურა და პარტია. ო. ელიოზიშვილი ა. ბუსლაევთან დებიუტში მძიმე მდგომარეობაშია აღმოჩნდა. მხოლოდ შეუპოვარი დაცვისა და ა. ბუსლაევის მცდარი თამაშის გამოყენებით 26-ე სვლაზე ო. ელიოზიშვილმა შეძლო ყოიმისთვის მიეღწია.

დანარჩენი პარტიები გადადებულია.

რვა ტურის შემდეგ წინ არის ოსტატი ა. ებრალიძე.

დიდი მოგებანი

ჟენევა. (საკ. კორ.). ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ უკანასკნელ წელს მოგების სახით გასცა 1.566.000 მანეთი. ამ დღეებში მოქალაქე კაჟელაძეს ხვდა 25.000 მანეთი მოგება. გაცემულია აგრეთვე ორი 10.000-მანეთიანი და რვა — 5.000-მანეთიანი მოგება.

ღღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — უკეთ შევისწავლოთ, შევარჩიოთ და შევამოწმოთ კადრები.

1952 წლის სამშენებლო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

საკავშირო ინფორმაციები. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — გაზეთის ეიტრინა. კ. ქუთათელაძე — უკეთ მოვემზადოთ თვითეული მეცადინეობისათვის. ვ. მურუსიძე — გავაძლიეროთ მეთოდური დახმარება პროპაგანდისტებისადმი. ქალაქ ბათუმის პარტიული აქტივის კრება. საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის პლენუმი.

წარმოების ნოვატორთა გამოცდილებიდან — მეფოლადე შ. კუხალეიშვილის ჩქარისნული დნობის მეთოდი.

ს. რაკინაშვილი — უდარდელი დამოკიდებულება სერიოზული საქმისადმი.

ა. კუმარიტოვი — კოლმეურნეობის თავმჯდომარის სანანარიშო მოხსენება.

მესამე გვერდი — მკითხველთა წერილები— კ. ოდლობერიძე — საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის ს. ტურიანი — ხელნაწერის კულტურის შესახებ. ს. ხოდოვი — როდესაც სიტყვა საქმეს ორდება.

პატარა ფელეტონი — ა. აღლაძე — უბილეთო მგზავრები.

ვ. გოგუაძე — ჩვენი მეგობრები საქართველოს შესახებ (დასასრული).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე გაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლისინმანელთა ჯარებთან და დიდ ზარალს აყენებენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ მოწინააღმდეგე დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ზოგიერთ უბანზე გააფთრებით უტევდა სახალხო არმიის თავდაცვითს პოზიციებს, მაგრამ უკუგდებულ იქნა, ამასთან მას ზარალი მოუვიდა.

ღღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის სამი თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვონსანის, მუნჩონის, კასოსა და ჩუნბვას რაიონებზე თავდასხმაში.

კორეის ცენზრალური დეკეშათა სააგენტო დაზავებაზე მოლაპარაკების შესახებ

ფხენიანი, 3 თებერვალი. (საკდესი). ღღეს კორეის გაზეთებმა გამოაქვეყნეს კორეის ცენტრალური დეკეშათა სააგენტოს ცნობა კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების შესახებ.

მალე შესრულდება 7 თვე, წერს სააგენტო, რაც დაიწყო კორეაში ცეცხლის შეწყვეტისა და დაზავების შესახებ მოლაპარაკება, რომელიც პირველი ნაბიჯია კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზაზე. მაგრამ ჯერაც არ არის მიღწეული შეთანხმება ღღის წესრიგის ყველა პუნქტზე. ამერიკის მხარე მოლაპარაკებს დაწყებიდანვე ღღემდე ახორციელებს მოლაპარაკების გაჭიანურების პოლიტიკას და სხვადასხვა დაბრკოლებას ქმნის, რათა განუსაზღვრელი ვადით გააჭიანუროს შეთანხმების მიღწევა ღღის წესრიგის ყველა პუნქტზე. ცდილობს რა გააჭიანუროს მოლაპარაკება, ამერიკის მხარე აყენებს აშკარად უგუნურ მოთხოვნებს, უაზრო, ზოგჯერ სასაცილო წინადადებებს, მიმართავს შანტაჟსა და დემტატის პოლიტიკას.

რა არის იმის მიზეზი, რომ ამერიკის მხარე სიტყვით ესწრაფვის კორეაში მშვიდობას, ხოლო საქმით ყოველნაირად ცდილობს გააჭიანუროს მოლაპარაკება? გასულმა 6,5 თვემ დაგვანახვა, რომ ამერიკის მხარე ესწრაფვის კორეის საკითხის არა მშვიდობიან მოწესრიგებას, არამედ აგრესიის გაგრძობასა და გაფართოებას, იმას, რომ შექმნას კორეაში სამხედრო ბაზა აზიაში ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის. ამერიკის მმართველ წრეებს არა სურთ, რომ კორეაში ჩაქრეს ომის ხანძარი, რადგან კორეის ომი მილიარდობით მოგებას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტებს — ამერიკის ნამდვილ ბატონ-პატრონებს...

სინამდვილე გვიჩვენებს, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, რომ ამერიკელ ინტერვენტებს სურთ არა მშვიდობა, არამედ აგრესიის განგრძობა, თუ მათ ნამდვილად სურთ მშვიდობა, რატომ ცდილობენ ყოველნაირად გააჭიანურონ მოლაპარაკება, რისთვის გზავნიან ახალ ჯარებსა და საბრძოლო ტექნიკას ფრონტზე? ამზადებენ რა ახალ შეტევას კორეის ფრონტზე, ამერიკის სამხედრო ხროვა და პოლიტიკური საქმოსნები ცდილობენ თავიანთ სატელიტებში აიმაღლონ ავტორიტეტი, რომელიც დაკარგეს იმ დამარცხების შედეგად, რაც მათ კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა მიაყენეს. გარდა ამისა, შეტევამ ახალი მილიარდობით დოლარი უნდა მოუტანოს უოლ-სტრიტის მონოპოლისტებს...

კორეელი ხალხი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ამერიკელ იმპერიალისტთა მანევრებს, რომლებსაც ისინი მოლაპარ